



ՕՐԵԱՆԿԱՐԱ
ՅՈՒՆԻՔԱՆԱԿԱՐԱ

№ IV

Հ Յ Ա Յ Ա



1895

୩ ୦ ୬ ୧ ୫ ୬ ୦

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶନରେ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶନରେ

I	ବାନା—ଲ୍ୟାଙ୍କ୍‌ସି	ଶିତ	ମଧ୍ୟବିଜ୍ଞାନ	3
II	„ମାରୀମା“	କ୍ଷାମେହି	ମନୋବିଜ୍ଞାନବିଦୀ	5
III	ବାର୍ତ୍ତକରିଳ	କ୍ଷାମେହି	ଶିତ	20
IV	କ୍ଷାମେହି	କ୍ଷାମେହି	ଶିତ	24
V	କ୍ଷାମେହି	କ୍ଷାମେହି	ଶିତ	26
VI	ବାର୍ତ୍ତକରିଳ	କ୍ଷାମେହି	ଶିତ	38
VII	ବାର୍ତ୍ତକରିଳ	କ୍ଷାମେହି	ଶିତ	39
VIII	ବାର୍ତ୍ତକରିଳ	କ୍ଷାମେହି	ଶିତ	45
IX	ବାର୍ତ୍ତକରିଳ	କ୍ଷାମେହି	ଶିତ	56
X	„କ୍ଷାମେହି“	କ୍ଷାମେହି	ଶିତ	60
XI	ବାର୍ତ୍ତକରିଳ	କ୍ଷାମେହି	ଶିତ	63

— — — — —



χ ι χ ο ξ ο

၁၃၂၈၁၇၈၀၉။ ၅၁၆၁၆၈၀၁၆၀

፩፻፭፭፯፻፲፮

იზარდე, მწვანე ჯეჯოლო, დაპურდი, გახდი ყანაო!...

No IV

ଶେଷିବାର କଥାକାଣ୍ଡ



ଓଡ଼ିଆ

სტამბა ქ. ღ. როგორიანცია || Тип. М. Д. Ротиніанца. Гол. пр., д. № 41
1905.



Дозволено цензурою Тифлисъ, 9-го Августа 1895 года

ნ ა ნ ა

(ურსო გუპაძეს)



ნანა შვილსა დედას ქალსა,
 ნანა დედის სიხარულსა,
 დედის გულის ნებიერსა,
 მთვარესავით გაბადრულსა.



ნანა, ნანა გოგონასა,
 ნანა გიშერ თვალებასა;
 დაიძინებს, არ ინებებს
 დედის გულის წვალებასა.

მოისვენე გენაცვლე,
 დაიმშვიდე სული, გული,
 გამეზარდე, გამახარე,
 გამიმთელე, შვილო, წყლული.

მაღლით მთვარე სხივებს გაფენს,
გეალერსებს სიო წყნარი,
და ბულბული გიმკობს ძილსა
მგაღლობელი უებარი.

იმ გაღლით გეუბნება:
„დედის გულის ტურფა ჭარდო
მისთვის ვაქებ ბუნებასა,
რომ დედაშენს გაეზარდო!

ვით მე არ ვცვლი ვარდს ეცალში
და ვინატრი მისსა ლხენას,
ნურც შენ გასცვლი ნურაფერში
სამშობლოს და დედა ენას.


თუ რომ მის ბედს დაჩაგრულსა
არ შეხედავ შენც გულ-გრილად,
მხოლოთ მაშინ შეგერგება
დედის ძუძუ, ნორჩო, ტკბილათ“.

ახლა ტკბილათ დაიძინე
გაფურჩქვნილო, გაბადრულო,
ნანა ჩემო სიამაყევ,
ნანა ჩემო სიქადულო!

უ. მღვიმელი

„მარიამა“ კამეჩი

I



ედილო, აბა ელთი გამოიქვედე-
ჩვენს კამეჩს ლა მშვენიელი ფუ-
ჩინა ჰყავს. უჱ, გენაცვალე, დე-
და! ლამოტოლა ყულები აქვს,
ლოგოლ აბალტყუნებს, თითქო
კულდლელიაო. უყულე. დედა!
უყულე!

პატარა მარიამა დაჟინებით ეძა-
ხდა დედას, გამოსულიყო ფუჩინა
ენახა.

— უყულე, დედილო, ლოგოლ
ალხეინად დაბძანდება!
ხომ ალ მელქოლავს, ლომ ხე-
ლი მოვჭიდო?

— არ გერჩის, შეილო, არა გენაცვალოს დედა.

— უჱ, უჱ ლა მცუქანია, ლა თეთლი აქვს, დედილო, კუდის
წველი, ლოგოლი ფაფუკი და ლბილია! ლით უნდა მელქოლოს,
ლომ ელთი კიკა ლქებიც ალა ჰქონია ამ საწყალსა. დე-
და, საწყალი ფუჩინა ჯელ ისევ ლბილები აქვს. ლა ეშველება,
რომ ელთი მგელი შეხვდეს ამ ჩერენს ფუჩინასა? ლქები ლომ ალა
აქვს ლით უნდა ულქინოს მგელსა?

-- ვერაფრითა, შეილო, თავისი დედა თუ მიეშველება, თო-
რემ შექმამს. თუ დედა იქ ეყოლება კი არა უშაგ რა.

— მალთლა, დედა, მეც ლომ მალტოკა წაეიდე მინდოლში, მგელი შემჭამს? ჰო დედა?! იმ ველანას ლალა პაწარინებისათვის მოუცლია, აბა ელოთი მამა შეჭამოს თუ კა მგელია, ნახავს თავის სეილისა! განა დედა?

— ဒေါ်၊ မျှေးလွှာ၊ မှုပါ!

— წაეიყონოთ, დედა, ფუქინა შინა, აქ მალოლა მგელმა აღს
ჩამოიალოს და ალ შეგვიჭამოს. მაშინ ლალა მეშვეოლება, მგელი
შოლს გაიტაცა და ვეღალც კი დავწევით. ი ოხელი ლა დაბუ-
ლულ ტყეში შეძლება.

— არა, შეილო, იმსაც ძალია ეშინიან კაცებისა და ძალლებისა.

— უჲ დედა, ამ ფუჩინას დედას ლამოტოლა ლქები აქვს, ნე-
რა ის მგელი მოკლას სადემე — და! სალაშოზე ნახილიდან ლომ მოა-
გდებენ, უნდა უთხლა, აგვ მგელი გვემტელება მე და შენ შეილ-
სა და ელთი კალგათ მიბეჭე მინდოლში თუ ნახო-თქო. ის ოხლად
დასალჩენი, წავიდეს ყანები ხომ ბევრია და სიმინდები, პაწ, წები
ლომ ალა ჭამოს, ყანა მოძოვოს ლა, ძლოსხები სულ ბალას ალა
ჰძლოვენ?

პატარა ქალი მარიამა ოლარ ეშვებოდა პატარა ზაქსა. ხან პი-
რში უყოფდა ხელსა, ხან ზედ უპირებდა შეჯდომასა. ხან ებუჩავე-
ბოდა. პატარა ზაქი კი აჩხეინათ შეცქეროდა, თითქო უკვირს, რას
მელაპარაკება ეს პატარა აღამიანიო. შემოწვა გვერდზე, თავი გვე-
რდზე გადმოიდო, ხან ერთს ყურს ჩამოატყაპუნებდა ძირს, ხან მე-
ორეს. ბუზი რო დაჯდომოდა, მთელი ტანი შეუთროოლებდა. რო-
ცა პატარა მარიამა ხელს ახლებდა, ფუჩინაც ერთს თვალს გაახელ-
და და მერე ზარმაცათ ისევ მიჰლოულავდა.

პატარა ქალიც აღტაცებული შეცკეროდა.

— დედა, ეძინება ჩევენს ფუჩინას, შეხედე დედა, ლოგოლ
თვალებსა ხუჭას — ვინ იცის წუხელ ალ ეძინა, ვინ იცის მეგ-
ლი აშინებდა, უჰ, აბა ლა დააშინებდა ამ საწყალსა! დედა,
ლაცოტა კბილები ჰქონია. უკბილო ბებერი ყოფილა. იცი
ლა გითხლა დედა, ამ ფუჩინას ელთი კალგი სახელი უნ-
და დავალქა. ჩემი უნდა იყოს დერილო, ფუჩინა. მე ლო
გავიზდები მე უნდა მოვწევლო ხოლმე, ახლა ამას ლო პატა-

ლა ფუჩინები გაუჩინდება; ფუჩინა, ძუძუები გაქვს? ლა უნდა მოაწყო შენს შეილებსა ქა, აბა ელთი გნახო.

პატარა ქალი ცდილობდა შეეყო ხელი ლაჯებში ზაქისათვის ძუძუების სანახავათ. ზაქეც რაც ძალი და ოონე ჰქონდა, უჭერდა აიტებს და კუდს იფარებდა, თან ტოკავდა.

— სულე, ფუჩინა, სულე, განა ძუძუ უნდა მოგპალო ქა, უნდა გნახო, გაქვს ძუძუები თუ ალა.

უჰ, უჰ, ლამოტელა ლძეს მომიწველის ჩემი ფუჩინა, ლამოტოლა მაწონს შევაღედებ და კალაქს შევდევებ, განა დედა?

— ხარია შეილო, საფურე ხომ არ არის.

— უჰ, მაშ ლა უნდა უყო!

აქ გოგონას ოცნება სრულიათ შეიცვალა და სრულებით ახლა სხვანაირათ წაუვიდა ფიქრი. პატარა მარიამას არ ეჭაშნიკა, რომ ზაქი ხარი გამოდგა, მაშ აღარც ფუჩინებს მოიგებს, აღარც რძეს მოიწველის, მაშ რალას მოწველავს პატარა მარიამა ქალი, ან რაღა მაწონს შეაღედებს. მაინც კიდე გული არ გაიტქა. მოაგონდა, რომ ხარ-კამეჩებიც გამოსადევებია. მამა იმითი ჰჭიდავს შეშას, ფიჩხსა, ძნასა, ხნავს, თესავს, წისქეილში საფეხვი მიაქვს. აკი ლომა და ნიკორა შეაბა მამამ, ჯვარობაში რომ მიდიოდენ, დიდედასთან რომ რთველში იყვენ, ამათ არ მიჰყვანდათ ურმითა, პატარა მარიამას თვალები გაუბრწყინდა, მოაგონდა რთველი, ყურძენი, ხილი. „უჰ, უჰ, ლა კალგი იქნება“, ფიქრობს მარიამი.

— იცი, დედა, ლა მოეგიონე, ჩემი ფუჩინა თუ ხალია, ხომ ულემში შეეაბამ, დაუჯდები და ჰალალე და ჰალალეე, გავწევთ დიდედასკენ ლთველში. ჩემ ფუჩინას ვეტყვი, აბა ჩემო ელთი კალგა გამაქცუნე, ისეთი ძიენ გამაქცუნე, ლომ, სულ ცხენიერითა-თქო.

ჩემს ფუჩინას უნდა მალიამა დავალექა, დედა მეც მალიამა ვალ და ესეც მალიამა იქნება, განა დედა?!

— ჰო, შეილო, ჰო. ორი შეილი მეყოლება მაშ მეცა, ერთი მარიამა შენ იქნები და მეორე ეგა. ძუძუსაც ორიეს მოგაწოვებთ, ერთს ძუძუს შენ მოწოვ, ერთს ეგა, ჰო. შეილო?

— ალა, დედა, ძუძუ ლათ უნდა, თავის დედა იქ ალა ჰყავს, ისიც ბევრს მოაწოვებს. ისე იქნება ჩემი მალიამა, განა ძუძუც უნ-



და მოაწოვო. ისე მიყვალს, დედა, ეს ფუჩინა ლომ მუცელში აღალ მეტევა ამის სიყვარული.

II.

ამათ ახლო ერთი ძეელი ეკლესია იყო თაეისი სასაფლაოთი. როგორც უველვან, ამ სასაფლაოზედაც გაზაფხულზე შეენიერი ბალახი ამოვიდოდა ხოლმე. მთელი დღეები საესე იყო ეს არე-მარე ხბოებითა და ზაქებით. სოფელში თავისუფალი ადგილი ეს იყო და უველა აქეთ ერეკებოდა.

უეჭველია პატარა მარიამის „მარიამა ფუჩინასაც“ იქ გააგდებდენ. მარიამი აბა თაეს როგორ დაანებებდა თაეის „მარიამასა“. კუდივით სულ უკან დადევდა.

— ჩემი მალიამა ისეთი უნდა გავასუქო, ისეთი ლომა, სულ ბლუოდეს აგე ლოგოლიც ჩვენებან მოზეელი ბლუის ხოლმე და სადაც კარგი ბალახი იყო, სულ იქ უმარჯვებდა: — მოძოვე ფუჩინა, აქ მოძოვე, ჰელავ ლოგოლი თმასავით ბალახია. — ეკლებსა და ნარებს არიდებდა.

— მაგას ნუ მოძოვ, ფუჩინა, თოლექ შიგ ტუჩებში და ენაში შეგელჭობა, ყელში ალ შეგელჭოს და მელე... აბა ლალა გეშველება და ლალა შავი ქა ვქნა.

აჩავის ახლოს არ მიაკარებდა. რო თვალი არა სცემოდა, ყელზე შელოცვილი ღვინიჭილა, კოვზის პარი და ლოკუკინა დაპკიდა. სანამ დაცხებოდა აძოვებდა, მერე მოიყვანდა საყდრის ჩრდილში, ზაქი წამოწვებოდა, პატარა მარიამი კი უცლიდა საყდარს ირგვლივ და ჰკოცნიდა.

— შენ გამაზალდე ჩემი მალიამა, შენ გენაცვალე ფუფალავ, შენ თაეს შემოგევლე ფუფალა, შენ წამლად დაგედე, ფუფულა, გამიზალდე ჩემი ფუჩინა, ნუ მომიკლავ შენს მუხლებს ვენაცვალე. ფუფულა, აგლემც ღმელოთი გაგიზდის შეილება. აბა, ფუფალა, ჩემი მალიამი ლომ მომიკლა, ხომ მეც მოგვცელები ფუფულა, შენი კი ლიმე ფუფულავ, და დედა ქადას გამოგიცხობს, მაწრ. ნსაც შეგი დედებს, ფუფულავ, დედაჩემსაც შევეხვეწები, ფუფულავ, ლომ შეგეხვეწოს, ლომ ჩემი მალიამა გაიზალდოს. გამიგოჩებ, ფუფულავ ახლა?

როცა ხვეწითა და საყდრის კედლების კოცნით გულს იჯე-
რებდა, გასწევდა დედასთან სახლში. საკეირელია თავის დღეში არ
მოწყინდებოდა „მარიამასთან“ ყოფნა.

III.

ისმინა უფალმა მარიამ ქალის ხვეწია. ახლა „მარიამა“ ის „მა-
ლიამა“ აღარ იყო, რომელსაც მარიამ ქალი საყდართან აძოვებდა
ხოლმე. ახლა ვეებერთელა გაიზარდა. რქები თითო ტკაველზე მე-
ტი ჰქონდა და ნახირში დადიოდა, მარიამ ქალიც გაიზარდა, მაგ-
რამ თავისი „მარიამა“ კი არ დაჟეიწებია. თუმცა ახლა ისე გაგი-
ჟებით აღარ უყვარდა, ეშინოდა კიდეც იშისი, მაგრამ გააზიშებული
მაინცა ჰყენდა. მოვიდოდა თუ არა ნახირიდან „მარიამა“, მაშინვე
ზმუილით გასწევდა სახლისაკენ. იცოდა, იქიდან მარიამა ქალი უე-
ჟელად პურს გამოუტანდა, ან მარილს აალოკებდა. თუ ვინიცობაა,
მარიამი შინ არ იქნებოდა, „მარიამა“ ყვირილით გასქდებოდა, ვე-
ღარც ბაკში დააყენებდენ.

„მარიამას“ სოფლის უველა ბავშები იცნობდენ. ჩამოივლილა
თუ არა სოფლის შუა შარაზე, გამოცეინდებოდენ პატარა ყმაწეი-
ლები და დაედევნებოდენ „მარიამას“. იცოდენ მისი სიმსუნავის
ამბავი და დაუწეულენ ტყუილათ ძახილს: — „მარიამა“, მოდი, პური
გაჭამო, მოდი! მარიამაც არხეინათ შეხედავდა, თუ შეატყობდა ხე-
ლში უჭირავს რამეო, ხაშინათვე იქაოკენ გაექანებოდა, თუ ვერა-
ფერს დაუნახავდა ხელში, მაშინ კი ერთს ყურს შეიბერტყდა, კუდს
მოიქნევდა, თორქო გემრიელ ქერქებზე მოსულ სიმსუნავეს ერეკებაო
და გასწევდა გზაზე როცა თავს მოაბეზრებდენ, მაშინ კი სრულე-
ბითაც არ შეიხედავდა იქითკენ. განგებ საღმე ან სათივეში, ან ბა-
კში გადაჰყოფდა თავსა და უცმაცუნებდა ტუჩებს გამხმარ ლობეს,
ვითომ და რამესა უჭამ, თქვენი ლაპარაკი არ მესმისო.

IV.

— ბიჭო, ხეალ ჩეენი ზაქი „მარიამა“ უნდა შევაბათ გუთანში, ნა-
ფუზარში ჩატანეთ გუთანი. დაუძარა „მარიამას“ პატრინმა მეხრეებს.
თავის ანეულობა იყო. მოწმენდილი ცა სიცხეს აპირებდა. დი-
ლით პატარა ნიავი ჰქონდა, მერე სადილობის დროს, როცა მჩემ

წამოიწია და, შეიმალლა, ქარი ჩადგა, ჰერი დაუტბდა, გახურდა და დაუწყო წვა დედამიწას. პეტრუანთ გუთანი ნაფუზარში გაჭიმული-
ყო, გავდელებულიყო და თითქმის სულ გარბოდა. მეტრებს ერთი
კრეინა და „ორუელას“ ძალი ედგათ. გუთნის დედა პეტრუა,
„მარიამას“ პატრონი სიხარულით კას ეწეოდა.

— ე, ბიჭებო, რა ზაქი გამოდგა, რა ზაქი, ეს ქედ დალოცვილი. ისე მიღის გუთანწმი, როგორც ცხენი. როგორ მოიტაცა გუთანი, კაცო, თითქო ერთი ფარატინი იყოს.

— დაუხეით, ბიჭო, დაუხეით, ნელა უყავიო, ზაქი არ წამი-
სდინოთ, ხომ ხედავთ რა უღმერთოთა ცხელა, ხუმრობა საქმე არ
არის, ზაქი არ დაიძალოს. გუთნის დედა მეტარებს არიგებდა, მა-
გრამ „მარიამას“ სიფიცხით წახალისებული მეტარები ერეკებოდენ
დანარჩენ ხარ-კამებს რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. გუთნის დედა
ძლივ მაჟყვებოდა კვალ და კვალ გუთნს, ხელში ველარც კი იმა-
გრებდა.

„მარიამას“ საქმე კი სულ სხვა ნაირათ იყო. უღელს უჩევეს, უღელი ეჩოთირა ჯერ „მარიამასა“. გაიწია ნაპირისაკენ, ფიქრობდა გავალეჭ, ან გუთანს გაეითხევ და მოევიშორებ კისრიდან ეს რაღაც დამადევს მძიმეო. მაგრამ ვერც აპეურები დაგლიჯა და არც გუთ-ნიდან ტოლმა გაუშვა. რაზდენიც კვალიდან ამოსვლის დააპირებდა, მეუღლე ისევ აგდებდა კვალში. თან შესრეც ცხვირში სახრესა ცე-მდა.

„რაღა ცემა მინდა, ლამის ისეც ძარღვები დამიწყდეს, ვერა ჰე-
ლავ შე, უგულო ქვავ, შენა.

„ლმერთი აღარა გაქვს, შეძომხედე მაინც, როგორ მიჰირს, განა რო გაერბიყარ, მართლა მსუბუქათა ვარ, აბა მოდი, შენ შეები ჩემს მაგივრათ, თან გცემონ და თან ეწიე, ვნახავ როგორ მოუმატებ წევასა“.

სიცხისაგან გალექებულს „მარიამას“ პირიდან თეთრი ქაფი დიოდა, პირი დაელო და ქშიტინებდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გარბოდა. ისა ფიქრობდა, ასე რომ ვიზინო, უთუთ მალე გათავდება ეს საჩბენი მანძილი და მერე გამოშიშვებენო. ბელტი ბელტს ემატებოდა, მზე თითქო კიდევ ჯიბრს უწევსო უფრო და უფრო ცხელდებოდა, რამდენიც მაღლა ადიოდა, აჭერდა კისერში, თითქო ცეცხლის შუბებითა ჩხელეტენო.

, „მარიამას“ წინა მკერდზე ოფლი დაჭეოქა, სულ წურწურით გასდიოდა, მაინც ისევ გამალებული იწევდა. ქვევით დაბრუნებდენ გუთანს, „მარიამა“ ქვეოთის ნაპირ-საკენ ეშურებოდა, ევონა იქ ჩა- ვალთ და გამომიშვებენო. მაგრამ გუთნეულს ისევ შემოაბრუნებ- დენ და კამეჩები ისევ კვალში ჩადგებოდენ. „მარიამა“ ახლა ზევით ნაპირისაკენ მიემურებოდა. „მარიამა“ თანდათან მოწყდა. თვალებ- ში ღრუბელი აერია, ყელში ქშიტინი დაიწყო. ამის შემდეგ აღა- რაფერი ახსოეს. თვალები დაუბნელდა, ფეხები აღარ მიჰყვენ, „მა- რიამა“ გალექებული მიწაზე წაიქა, ხრალებდა.

— ნუ დამლუპეთ ბიჭო, ბიჭო, ნუ დამლუპეთ, ნუ დამიქციეთ ოჯახი, ღრიალებს პეტრუა.—მიშველეთ, ჩქარა წყალი, ჩაჭერით აპე- ტრები, გამოუშეით, ზაქი არ მამიკლათ, ხალხო, ზაქი! ტირის პე- ტრუა.

— არიქა, ბიჭებო, ვაგრილოთ ჩქარა, წყალი მოიტანეთ კო- კებით. ყველანი დაფაცურდენ, გუთანი დააყენეს. მეხრეები გადო- ხტენ. ზოგი წყალზე გარბოდა, ზოგი ზაქს შეცქეროდა.

— ეე, რა ულმეროთოთ იწევდა, ხალხო—და! არ მინახია მაგი- სთანა მხრიანი საქონელი, ჩემმა მზემა, იძახდენ მეხრეები. მოიტანეს წყალი, გაუხიეს ყურები, სისხლი გამოუშევს. „მარიამა“ მოსუ- ლიერდა, ააყენეს. „მარიამას“ წელანდელი ამბავი მაგონდა; გუთ- ნეული დაიჩახა, თვალებს გიფივით ცეცება დაუწყო. კარგა ხანი გა- ვიდა, სანამ „მარიამა“ კამეჩი ულელს შეეჩევოდა. ბევრი შავი დღე ნახა, მაგრამ შეეჩევა და სანაქებო კამეჩიც დაზღა.

— ლუკმას მაგისგანა ვჭამთო, იტყოდა პეტრუა, ჩემი ოჯახია და ეგა. მაგის ქედსა ვკიდივართ თორმეტ-ცამეტი სულიო.

V

გაუფრინდა ყმაწვილობის ტკბილი დღეები „მარიამასა“. ზაქო- ბაში გატარებული დრო სანატრელი გაუხდა. ან კი როგორ არ ინა- ტრებდა, მაშინ თავის ნებაზედ, სადაც უნდოდა, იქ დასეირობდა, ბა- ღებსა და ვენახებში სძოვდა, პატრონიც ისე ააზიზებდა, ხელით პურს აკმევდა, ვენახიდან რო მოვიდოდა, ან მინდვრიდან, თან იიღლიით ბალახს მოუტანდა ხოლმე.

— ჭამე ჩემო „მარიამავ“, ჩემო ხარ ზაქო, პნახავთ ჩემს „მა-



რიაშას“, როგორი ხარი დადგეს. მგონია, გუთანი სუ მიფრინავდეს, მეხრები უღლებზე ველარა დგებოდენ, როცა ჩემი „მარიამა“ შევაბა გუთანში, დაუსვა ჩემი გია მეხრედ, რაღა გაგეიჭირდება მაშინა.

მოაკონდებოდა ხოლმე „მარიამას“ ის დღები, გული დაუწყე, — ბდა სიხარულით ხტუნაობას, თითქო ახლაც ისე გაზიზონ. მაშინ რა იცოდა რა იყო უღლი?

რა მძიმეა ეს კისერზე დადებული ტეირთი და შიგ ჩაკრული კისრით ხარი და კამეჩი! მაშინ არ იცადა, რა იყო, გუთანი, მიწასთან ბრძოლა და წელში გრეხა. ახლა კი გაიგო, გამოცადა, იწენია ყველა ამის გემო. ღმერთო, წინანდელი დობილი მარიამა ახლა რო ჩამოუვლიდა გვერდზე, ერთს გუთნის გაშლაზე ველარ მიეკარებოდა ახლო.

— არ მერჩოლოს, ჩემკენ იხედებაო.

ან კიდე: — წიხლი არ მომარტყასო.

ესმოდა ეს „მარიამა“ კამეჩის და გული ურემლით ებანებოდა. ამას აქ ამოდენა სიმძიმე აწვა კისერზე, ეს ამოტელა დადებული მთასავით ურემი ამის ძარღვებმა უნდა ზიღონ, და ის კი, ის ქალი მარიამა მარტო საცინელს ან მხეცურს რასმეს ჰქედავს. ბიჭები შიშით ვერც კი შეჭედავენ ამათგან მოტანილს ფიჩის ურემს. რამდენჯერ მიფიქრია, როცა დამინახეს იმოდენა მთასავით დაყუდებული ურემი. ექ კი არ გადმოიქცეს და არ დამიტანოსო. მართლაც, ერთიც ვნახოთ ეს უზარ-მაზარი ურემი გადაბრუნდა, ხომ მოიტანა ქვეშ კამეჩები და გაჭყლიტა. მე რო ერთი ხეც დამაწვეს, ხომ იმასაც ვერ ავუდგები. „მარიამას“ პატრონს კი რამდენჯერ გადუბრუნდა ურემი და კამეჩები ცოცხლები გადარჩებოდენ ხოლმე. ტყიდან რო ურემს წამოიღებდენ დაღმართზედ, როგორ დაგორდებოდა ხოლმე ურემი და მაწვებოდა კამეჩებს. განა კაცი დაიმაგრებდა იმ ურემს?

— თავის დღეშიაც ვერა, მგონი ქათამიერით გაჰჭყლეტდა. კამეჩები კი, „მარიამა“ და იმისი მეუღლე, გაიმავრებდენ ფეხებს, მხოლოდ კულების ქნევას მოუმატებდენ ხოლმე და ვეშაპებივით ქშენა ისმოდა. საქმე არ აშინებდა „მარიამას“, არც ეზარებოდა. ცივი და მძიმე მიწის ბრძოლას შეეჩია. გუთანი რო ბურბუშელასავით ჰყრიდა ხოლმე ბელტებს, „მარიამას“ ეამებოდა ხოლმე მიწის სუნი.

რა დავიწყებდა „მარიამას“ იმ დღეს, როცა პირველათ გუთა-



ნში შეაძლეს. ის დღე „მარიამას“ ხსოვნაში ცეცხლის ასოებით იყო ამოქმრილი. რაც უნდა კაი გუნდებაზე და კაი ჯანზე ყოფილიყო, ის მოგონება სულ დადუნებდა და დააღონებდა.

ძალიან დასხვილდა „მარიამა“, კისერი გაუსქელდა, ჩქები და-ეზარდა. ლაბაბი ერთს მტკაველზე ეკიდა. თვალებს ცეცხლის ალი-ებით ატრიალებდა.

— ე ქედ დალოცებილი სულ ვეშაპივათა ქშინავსო, იტყოდენ ხოლმე.

— ბიჭო უნდა ჭანათ როცა ქალაქზე ჩაეტარებთ, აქეთ-იქით თვალ-დაცეცებული იხედება, თავს ვეღარ გაასწორებინებ. სი-ფრთხილე და ყოჩალობა აბა მაშინა ჭმაროებს მეურმეს, თუ „მა-რიამას“ ხმაურობა რამე მოესმა. და ერთი გაფთხა რაღა დაიჭერს, მგონი სულ ფეხით გაინადგუროს რაც წინ დახედება. ხიდებზე თვა-ლებს აუხვევდენ ხ ლომე, რომ არაფერი დაენახა. „მარიამას“ პატ-რონს პირიქით კიდევ უხარისხდა ხოლმე ქალაქზე ჩაედა. გზაში ყვე-ლას „მარიამაზე“ დაპრეცირდათ ხოლმე თვალი. ვაჭრები იცნობდენ და რო ჩამოიყლიდა, დაეხმაურებოდენ პეტრუსა.

— პეტრო, არ გეშინია, რო დაგიურთხეს ე კამეჩი?

— კოპტონს არ გამოუხდი ზამთრისთვის? ეკითხებოდა მეორე.

— მაშ ისე დავაყენებ. კაცო, უკაპტნოთ რა ლაშათი აქვს კა-მეჩისა.

— რატო უგრეხელას არ აჭმევ, როში და უგრეხელი კარგია, გამოიჩენდა ცოდნას მესამე.

— არა, ძმაო, როში და უგრეხელი კოპტონთან ვერ მოვა, კოპტონ ნაჭამი კამეჩი სუ წყლებში დაიწყებს წოლას სიმხურეალით. ახლა უნდა ჭანათო ტანი როგორი ბროწეულივით ვაუწითლდება. კოპტონისთანა ტყუილია.

ამ სიტყვებს, მგონი, ხუთჯერ იტყოდა, სანამ ქუჩას ჩაათავებდა და ჰაერში გაატყლაშუნებდა შოლტს ქინის მოსაკლავათ, რა-კი დაჩვეული იყო, თორებ იმის „მარიამას“, რეკაც არ უნ-დოდა.

— განზე ატარე, განზე კამეჩები, ფაიტონმა არ გაგიტანოს, უკვიროდენ დუქნებიდან, როცა პირდაპირ ვინმე მოაქროლებდა ეტლსა.

— ემანდ ჭიკვიან იყავით, შეილოსა, თორებ თუ გატანაზე



მიღვა, ჩემი „მარიამა“ მაგ თქვენს ცხენებს თავის ფაიტონიანათ სულ ფეხით მოსჭყლეტს.

VI

გავიდა ხანი, დაბერდა „მარიამა“. ხორცი დაკლდა, ძელები გამოუჩინდა. ბეწვი გაუთხელდა, ალაგ-ალაგ სულ ტიტველი კანი უჩანდა. მუხლშიაც ძალიან აკლო: თვალებიდამაც ვეღარაფერს ჰე-დავდა. კბილები სულ დასცივდა. ერთი ლუქმის გალოლებას მთელ საათს ანდომებდა. ურემში რის გაჭირვებით შეაბამდენ ხოლმე, გუ-თანში ხომ აღარ აბამდენ.

— ცოდო არის გუთანში ამოძრება სულიო.

გაჭირდა ცხოვრება. აღარაფერს ჰქონდა გემო. თუმცა ახლა უფრო მოსეენებით იყო ხოლმე, მაგრამ ძელებს ძლივდა ჰშიდავდა. ზამთარში წყალზე ძლივ ჩაეიდოდა ხოლმე.

— საცოდავი „მარიამა“ წელან კინაღამ წყაროზე დაიჩეხა, ძლივ ამოალწია. იძახდა პატრიანი. ვერ დამიკლავ, მეცოდება, დიდი შრო-მა აქეს ჩვენზე დადებული, კაი საქონელი იყო. იყოს, რას გვიშ-ლის, მაგისი ერთი გოდორი ბზე ხომ არ დამღუპავსო. სოფელშიაც ყველა იცნობდა „მარიამასა“. როცა ახალგაზდა იყო, ჩხვერვა იცო-და ხოლმე. რომელი კაციც არ მოეწონებოდა გამოვკიდებოდა, ბა-ლლებს ახლაც ახსოდეათ „მარიამას ბუჩაობა. წინათ ეშინოდათ ხო-ლმე იმისი და ახლა როცა დაბერდა და გაქცევა აღარ შეეძლო, გადაუდევებოდენ ხოლმე გზაში.

— აი „მარიამ“, აი „მარიამა“ კამები!

— აი შე ბებერო გადაყრუებულო, უუ!

— „მარიამა“ .;მარიამაო“ შე გიფო და ქარიანაო.

„მარიამას“ თითქო არ ესმისო, შეშინებულივით გააჩქარებდა ფეხსა. ბავშვები უფრო უმატებდენ კიფინს. ზოგი კუდში სწვდებო-და, ზოგი ფეხში, ზოგი სახრეს ურტყამდა. ამას კი ვეღარ მოი-თმენდა ხოლმე „მარიამა“. ერთს წაში სიბრაზით თვალები აენთვ-ბოდა, ძელები შემსუბუქდებოდა, მოუბრუნდებოდა ამ კაღნიერს ბალლებს და სულ საბძელ-ბოსლებში აძრენდა. მერე ისევ ფეხ აჩ-ქარებით გაწევდა თავის გზაზე, რომ ის ბოროტი ბალლები აღარ გამოსდგომოდენ.

მთელი შემოდგომა გარეთ იყო ხოლმე.

— რა მოვლა უნდა, ვენახები მოკრეფილია, რას შესჭამს, იაროსო, იტყოდა პატრიონი.

ჩამოიცლის „მარიამა“ სოფელზე, მშიერია, დილით უზმო გაუგდიათ; რას შეჭამს, ჯერ ზაფხულში რას მოსძოვდა თავის უკბილო ღრძილებით. როცა იმისთანა ბალახი იყო, რომ ახლა მოძოვოს. აქ-იქ ან კაკლის ფოთოლს შეჭვდება, მოჰომენის, ან ფუჩქების იპოვნის გზაზედა. ურმებს თივა გასცეივნია, იმას მოჰკრეფს, მაგრამ რას ეყოფა ერთი მუქა საჭმელი.

დაინახა „მარიამა“ ურმით დადგმული ფუჩქები, მივიდა, „ერთ ორ ლუკმას გამოვაძრობ, ეინ რას მეტყვის, მშიერი გარ, რა დააკლდება“, ფიქრობს „მარიამა“. მივიდა ფუჩქებთან, ერთი ღერი გამოაძრო და ძლივ ძლიობით ჰლოვლნის. ამ ღრას დაინახა პატრიონი შენა! — ერთი თუ ორი, იმის ბრახა-ბრუხი, ბრაგა-ბრუგი „მარიამას“ ხმელი ზურგისა და გვერდებისა. შეშინებული და დაღონებული „მარიამა“ მოდის ახლა ქვეით. თვალებიდან ცრემლები ჩამოსდის. ეინ იცის, მკითხველო, რასა ფიქრობს, ეინც შექვედება, იძახის, თვალში შემოუკრავთ, ცრემლი სდისო...

VII

— ეს კამები თუ არ გავყიდე, ამ ზამთარ ვეღარ გავკვებავთ, თქვა პატრიონმა. „მარიამაც“ გაიგონა. არც კი გაჭკეირებია ეს სიტყვები „მარიამასა“. იცის რაც მოვლის ყველა იმისთანას კაცისგან. „რა ექნა, პიროვტყვები გართო, ფიქრობდა „მარიამა“, ჩვენს გაჭირებას ენით ვერვის გავაეონებთ, ვერ ვიტყვით, უნდა ესე ვიტანჯოთ, წელი ვიწყვიტოთ, ყელში დანას გვაჭერდენ და მაშინაც კი ვერა ვთქვათ ჩვენი განწირულება. კაცებს კი ჰერნიათ, პირუტყვებს არ ესმისთ რას ვუშვერებითო. ვესმის, მაგრამ ჩვენი გულშემატკივარი სადღაა. იმათ მარტო ხორცი უნდათ, ჩვენ მარტო ხორციადა გვთვლიან, სხვა ვითომ არცა გვტკივა, არც გაჭირება გვესმის. რა ვქნათ? საღ წავიდეთ, ვის შავეჩიზნოთ. აკი ეინც თავის უფლათ დაიარება ჩვენი მოძმეები აფრიკისა და ამერიკის ტყეებში ბედნიერებიც არიან. იმათაც თუ ჰერცენ, იციან მაინც რო მტერია იმათი კაცი, ან გაექცევიან, ან მოჰკლავენ, ან შეაკედებიან. ჩვენ კი



პატარა ბავშვიერით საითაც უნდათ, იქით გვიკვრენ თავსა, რათა? იმით რომ დამონებულები ვყევართ და აღარ ვიცით, აღარ გვახსოვს თავისუფლება როგორია, აღარ ვიცით იმისი სიტყბო. ისე შევვჩვიერ მონიბით ყოფნას. რომ გავვაგდონ კიდეც, ისევ შინ მიერბიერთ იმავე კაცებთან:“

,გამყიდის ჩემი პატრონი, არ უნდა რომ სიკედილს მაინც მოსვენებით დატვიდე. არ უნდა, რომ ჩემი დღით მოვკედე, უნდათ დაუში ჭამონ ჩემი და ტყავი ჩაიცეან“.

,გამყიდეთ, გამყიდეთ, მაინც მეტი ბედი არც სხვა ჩემ ფერწბია აქეთ. ისინი დამკვლენ მაინც, მომაშორებენ ამ ოხერს სიცოცხლეს“.

VIII

ჩოდარმა „მარიამა“ კამაჩი ჩამოიყანა ქალაქში და რიყეჭე, ერთს ვომში დაბინავა, ზაფხულის სიცხე იყო და დამწყვდეულს „მარიამას“ ხო სულის ქცევაც აღარ შეძლო, მართალია ქალაქში პირველათ არ იყო, მაგრამ წინათ რო ჩამოსულა, სტუმრათ ყოფილა, ისევ მალე გაჰცელ ია იქაურს შემხუთეველს ჰაერსა და ახლა-კი სამუდამოთ უნდა აქ ეცხოვრა. ვინ იცის რა მოელოდა, რამდენს ხანს მოუნდებოდა ამ თოვესავით გახურებულს ქალაქში ყოფნა. წინათ რო ორ ღამეს დარჩენილიყო, სოფლის სურვილი აღარ დაყენებდა, ახლა?

— ახლა კი აქ უნდა იყოს სიკედილაშიდე დამწყვდეული, კარებ გადმოკეტილი. იმასთან კიდევ რამდენიმე სხვა მობუზული საქონელიც იყო, მაგრამ ისინი რას უშველიდენ. ისინც ამასავით იტანჯებოდენ. გარეთ არც კი გამოუშვებდენ, ან კი სად უნდა წაესხათ, აქ რა მინდვრები და ჩალები იყო. შეუყრიდენ ნახევარზე დამპალს ბზესა. ილორნებოდენ საცოდავათ უკბილო ბებერი კამეჩები. დღეში ერთხელ გამორეკდენ ეზოში, ჭა იყო, ჭასთან გეჯა იყო, იღებდენ წყალს ჭიდან, გეჯაში უსხამდენ და ისე ასმევდენ. მერე გაირეკავდენ და ისევ ბოსელში უქრავდენ თავსა. ურევლ დღე „მარიამას“ ამხანაგებს ზოგი ემატებოდა ზოგი აკლდებოდა. დაუჭერდენ უურს და შიათრევედენ საღლაც. ისმოდა ბრახა-ბრუხი, საშინელი კვნესა და ხრიალი. დატრალდებოდა თბილი სისხლის სუნი. „მარიამა“ ამ სუნისგან ცოფიანივით ხდებოდა. ეხეთქებოდა აქეთ-იქით. უნდოდა გაემტვრია კრები და მივარღნილიყო იქ, სადაც იმის მოძ-

მეთ სიხლი იქცეოდა. კაცები საქონლის სისხლს წყალივით აქცევდენ. „მარიამა“ კი სისხლის დანახვაზედაც საზარლად ღრიალებდა.

შიდიოდენ დღეები. „მარიამას“ ყოფნას არ ყოფნა ჯობდა. სიცხეს სიცხე მოსდევდა. ისმოდა კარების ჭრიალი, სახრის ტლაშატლუში, დაკლული საქონლის ღრიალი.

დაბზუდენ მიწურის ბუზები. გრიალებდენ ქუჩაზე ეტლები. ისმოდა ხმაურობა და ქრიამული.

— სად ჩავარდი აქა, ჩა მომზის, განა ისეთი რა შეეცოდე ღმერთსა! ოჯ, დალოცვილო ღმერთო! რამდენი იტანჯება ტყუილუბრალოთ უცოდველი! სინათლე მაინც დამანახეონ, მინდურში მაინც გამაგდონ, ერთხელ კაცე მეღირსოს მწვანე ბალახის მოწიწკნა და ქორფა ფოთლის მოხიხნა! ცივი წყლით დაგრილება!

ტყუილათ ნატრობდა „მარიამა“. არ უსრულდებოდა ნატერა.

— რატომ არ გაიჩცევი საღმე, შე საცოდავო „მარიამა“, რატომ თაეს არ უშვეელი. ეტყოდა თაეის თაეს სასოწარკვეთილი „მარიამა“ კამეჩი.

— საიდან წავიდე, საიდან გავახწიო ამ სისხლის მსმელებს, ვერა ჰედავ სულ დაკეტილში ვარ, როგორ გავტეხო კარები, სად გავიგნო გზა. იტანჯებოდა და იგვემებოდა „მარიამა“ დალონებული.

IX

ერთს დღეს გომის პატრონს კარები ღია დარჩა. „მარიამა“ კარგა ხანს შეცქერულდა გაღებულს კარებს, ან ახლა გაიხურავს ან ახლაო. მაგრამ პატრონი არა ჩანდა, არც კარები იხურებოდა. იქიდან კი თაეისუფლება შემოიჭიოტებოდა და ეძახდა თაეისთან „მარიამასა“.

— იქნება მეშვეელოს რამე?!.. თქეა „მარიამაშ“. იქნება ბოლო მოელოს ჩემს ტანჯვასა? ადგა ნელა-ნელა „მარიამა“, გულის კანკალით მიუახლოვდა კარებს.

იქით გზა იყო, ზედ ხალხი ჭიანჭველებივით ირეოდა. ეტლებს გრიალი გაჰქონდა. „მარიამაშ“ შეუმჩრევლათ ამოყო თაეი ქუჩაზე.

მიღის „მარიამა“ და ღმერთმა იცის იმისი ფიქრი სად მიჰქოის.



აქამდე ყურადღება არაეინ მიაქცია, აქ ხშირათ ენახათ გომებიდან გამოპარულა კამეჩები.

როცა ზევით ამოეიდა, აქ კი ნიჩი იცვალა ხალხმა.

— საით ბეხო კამეჩი, სად მიღიხარ შე გადაყრუებულო? ეძანის ერთი.

— ნოეს ხბოვ, რას დასეირობ? დაცინის მეორე ვაჭარი.

„ნეტა რასა ყვირიან, ფიქრობს „მარიამა“. პატრონმა კი არ გაიგონოს.“

— შე გადაყრუებულო, სად მიეხეტები უყვირის მესამე.

— ღუქანში არ შემომივარდე, შე უპატრონო! უხევს მეორე.

აგრე მოაქროლებენ „ეტლას. „ხაბარდა“! ყვირის მეტლე. რა იცის „მარიამა“, რა არის „ხაბარდა“. — „ხაბარდა“ შე სატილო! უყვირის მეტლე კიდე. ისმის ცხენების ნალის წყრიალი, ფაიტონის დვარდვარი. დაეჯახება უცებ რაღაცა „მარიამას“ და ზედ ქუჩაზე გადააგორებს.

ისმის ღუქნებიდან ხალხის ხარხარი. ეტლი ქვევით მიღინებს.

— ყოჩალ, შაქრო. რა მარჯვეთ გადაბრუნა, კამეჩი! ქშიტინებს გაბერილი სომეხი. არ ესმის „მარიამას“, რა ამბაეთა იმის თავსა. ირგვლივ აელებს თვალს, უნდა ერთი დერი ბალახი მაინც დაინახოს, ერთი ძირი ხე, ერთი ვაზის ფათოლი, მაგრამ ტკუილად! უნდა წამოდგეს „მარიამა“ და ამ დროს შემოეხვევიან ხმლიანი და ჯოხიანი ხალხი. უბრახუნებენ საკოდავს „მარიამას“ ხმლის ყუებს და ჯოხებს.

აყენებს „მარიამა“, სცემენ და მიჰყავთ. უსუსტდება მუხლები. ქვა ფენილმა ჩლიიქები სულ დამტერია. იქით-აქეთ თვალ-აუწვდენი სახლებია წამოჭიმული.

— სადა ვარ, სად მივყევარ? სადა ხარ მინდორო? სადა ხარ, ჩემო მტკყრისა და ლიახეის ჭალებო?! რატომ მანდევ არ შემჭიდეს მგლებმა, სანამ ამ ყოვაში ჩავარდებოდი. მიშველეთ ვინმემ, სადა ვარ, რა ხალხში, რა ქვეყანაში. მიღის „მარიამა“ მიღახლახებს. ან კი სული რაღაში უდგრა, ცარიელი ძვალი და ტყავია. მიღის, მიღის და...

— „ღმერთო! იქნება მართლა? იქნება მომხედა ღმერთმა! „მარიამას“ წყლის სუნი დაწყდა, ნიაემა მოუტანა მტკყრის სიო. მაშინვე იცნო, მტკყრის ღუდუნიც მოესმა. თვალები გაუცოცლდა,



მუხლებში ძალი მიეცა. მირბის „მარიამა“ რაც ძალი და ოუნე აქვს, მირბის. ალარ უცქერის გზასა. ღილი ხანია მდევრები უკან ჩა-მორჩენ. აი მოვიდა კიდეც. აი მტკვარიც! ძლიერ არ ელირსა კი-დევ მტკვრის ნახვა. ახლა კი ელირსება თავისუფლებას!

არც კი დაუხედნია „მარიამას“ წინა, ერთი ხარბათ შეისუნოთქა მტკვრის სიო და ყირამალა გადაეშვა ზეირთებში.

— დაილოცე, ლერთო, იკურთხა შენი სამართალი, სიკედი-ლის დღეს მანც მაღირსე თავისუფლება. ახლა გინდ მოვევალე, შენ მაინც დამიტირებ. მიაგორებს მღვრის ზეირთებს კლდეებში ჩაჭედი-ლი მტკვარი.

„მარიამას“ თავილა უჩანს.

აგრ გომოცდენ წისქვილების ჩარხებსაც. „მარიამას“ არ ეტ-ყობა, რომ ნაპირისკენ იწევდეს, ის უფრო შუა გულში მიღის, რომ უფრო უშიშრათ იგრძნოს თავი. არ ვიცი სად მიღის „მარია-მას“ ან რასა ფიქრობს ამ წუთში. ის კი ვიცი რომ ენით გამოუთ-ქმელ ბედნიერებასა გრძნობს.

ხილებზე ხალხი დგას და გასცემრია.

— დაიხრჩობა უეჭველათ, იძახის ერთი.

— საიდამღა გამოვა, სად არის გამოსასელელი. ამბობს მეორე. „მარიამას“ კი აელაბრის ხილის ქეეშ ღურლუმელი ატრიალებს. სახეზე არავითარი შიში და ვარამი აღარ ეტყობა. აგრ, აგრ ქუდის ტოლათ ძლიერს მოხანს.

— საით შენი გზა, „მარიამა“, საით?

ნაცვრის ახდენა



რი პატარა ქალი და ერთი გაური დარბოდენ
და თამაშობდენ დიდ ბაღში. — აბა, შენ დაი-
მალე და ჩვენ მოგმებნით — დაუძახა უმცრო-
სის ქალმა, სოფიკომ, თავის მმას. „კარგი!
მაგრამ თქვენ კი არ გამოიხედოთ, თუ არა თამაშს თავს
დავანებებ!“ დაემუქრა რეზო. სოფიკო და კატო სახლის
დერეფანზე დასხდენ და თვალებზე ხელები მიიფარეს, რე-
ზო კი შურდულივით გაქნდა და დობესთან დიდ ქას
ამოეფარა; ამ დროს იმან თვალი მოჰკრა დობეს იქით
შეენირ დასამალავ ადგილს: სახლის ქვედა სართულის
ფანჯარასთან დაგროვებული იუო აგურები; ამ აგურებსა
და კედელს მუა სწორეთ იმდენი ადგილი იუო, რომ რე-
ზო თავისუფლათ ჩაეტეოდა შიგ. „ახლა კი ვეღარ მომ-
ნახები!“ სიხარულით გაივლო მან გულში და მალე სრუ-
ლებით მიიმალა აგურების უგან, ერთი კი დაუძახა
დებს: „დროა“—ო!

კატო და სოფიკო ცეკვიტათ წამოხტენ და შამოირ-
ბინეს მოელი ბაღი, რეზო არსად ჩანდა, ვერ მიმსვდა-
რიყვენ საით წავიდა. „ნეტავი სად უნდა დამალულიერ?“
გაკეთოვებით იკითხა კატომ. „პატარა ადგილიც კი არ
დაგვიჩენია უნახავი; ნეტავი სად გაჲქრა?“ — უბასუნა სო-
ფიკომ. რეზო კი სულ განაბული იჭდა და სიცილს იკა-

ვებდა. უცებ მას სიძლერა მოესმა; ჰატარა ბავშვის სმა ნა-
 ხათ ამდერებდა ნანინას; რეზომ ვეღარ მოითმინა, წა-
 მოდგა, შეიხედა ფანჯარაში და დაინახა, რომ ტუთი ექვსი
 წლის კოგონა დანჯათ დადიოდა წინ და უკან ოთახში; ხე-
 ლში ეჭირა ძონძებში გასვეული დიდი სტაფილო და სი-
 ეგარეულით იკრავდა გულში: „ნუ თუ იმას ერთი დედო-
 ფალაც არა აქვს?“ გაიკვირვა რეზომ. ამ დროს სოფიკოშ
 და კატომ მოჭრეს თვალი ქუჩას გადაღმა ფანჯარასთან
 ატეზულ რეზომ და ორივემ უკირილი მორთეს: „ეს ჯე-
 რი არ არის! შენ ბაღში უნდა დამალულიყოვი!“ რეზომ
 მიიღვა ტუჩებზე სელი და ანიშნა დებს გაჩუმდითო, მე-
 რე სელი დაუქნია, თქვენც აქ მოდითო, კატო და სოფი-
 კოც მივიღენ და ჩუმათ მიუუდენ სარკმელს. ჰატარა ქა-
 ლი აღარ მდეროდა, მაგიერათ ახლა იმას შეა ოთახში
 მოეკეცნა და რთავდა თავის სტაფილოს; — კატოც და სო-
 ფიკოც განცვიფრებით მიჩერებოდენ მას; თვითონ იმათ
 ორ-ორი, სამ-სამი ლამაზი დედოფალა ჭეავდათ, მაგრამ ასე
 ფთხილათ და ნაზათ არაოდეს არ მოკიდებიან მათ.

რამდენიმე ხანი იდგენ სამივე ბავშვი და შეჩერებოდენ
 ჰატარა ქალს, მერე ნელ-ნელა შამოუარეს აგურის გრო-
 გასა და შევიდენ თავის ბაღში; მარტო მაშინ ამოიღეს
 სმა: — მე ჩემ დედოფალას გაჩუქებ იმას, — თქვა სოფიკოშ.
 „რომელს? თავ მოტეხილს, თუ უფეხოს?“ — დაცინვით კი-
 თხა რეზომ „ისევ ის ჯობია, კატოს ერთი და ერთი,
 რომელიც უკეთესი, დედოფალაა, ამოარჩიოთ, კარგათ ჩა-
 აცვათ და მიუტანოთ!“ — „ნუ გეშინა, არც კატოს აქვს
 ჩემზე უკეთ შენახული თავის დედოფალები! მიუგო სო-
 ფიკოშ. „ვნახოთ და რომელიც ჯობია, ის ამოვარჩიოთ!“



ეროვნული
ბიბლიოთეკი



თქვა კატომ — სამივე წავიდენ თთახში და დაუწეს მებნა კუთხეებში აქა-იქ მიგდებულ ღეღოფალებს; ოოგორც იქნა, მოაგროვეს ხუთი, მაგრამ რა მდგომარეობაში იუვნ ის საცოდავები! ზოგს სელი ჰქონდა მომტვრეული, ზოგს ფეხი, ერთს კი ორივე თვალი ჰქონდა ამოთხრილი. „შვენიერებიც არიან! ვერც ერთს ვერ აჩუქებთ!“ — გადაწევიტა რეზომ. „რატომ ვერ ვაჩუქებთ! მის სტაფილოს მაინც ჯობია“ გააწევეტინა სიტყვა სოფიკომ. — თუ შეიძლება, ვეცდოთ, გამოგაეთოთ, კაბაც შეუკეროთ, თავზედაც რამე დავხუროთ და წავუღოთ!“ — ჩაერია კატო. სამივე შეუდგენ საქმეს, რეზომ წებო მოიტანა და ოოგორც შეეძლო დააწება და გამოაძულო ღეღოფალა, სოფიკო და კატო კი ღეღასთან გაიქცენ, მოუშენ ჩატარა ქალის ამბავს და ნაჭრები თხოვეს, ღეღოფალასთვის კაბის შესაკერავათ. ღეღამ სიამოვნებით მისცა კოლიფერი და ორივე ღები გულმოდგინეთ შეუდგენ ჭრას და კერვას; ერთი-ორი საათის შემდეგ ღეღოფალას ვეღარ იცნობდით: გაწერილი თმები ასლა დაგარცხენილი და ლამაზათ დაწესული ქონდა, ახალი კაბა ეცვა და ფეხებსაც კატოს შეკერილი ფეხ-საცმელები უშეგებდენ. „აი, ასლა კი შეიძლება, რომ წავუღოთ!“ — ამბობდა გახარებული რეზო. სოფიკომ ამოიდო ღეღოფალა წინ საფარის ქვეშ და ეველამ ჩქარი ნაბიჯით გასწია ჩატარა ქალის სახლისკენ. იმათ მორცხვათ დაურაკუნეს სარკმელში; იქიდან გადმოიხედა დარიბათ ჩაცმულმა ღეღა-კაცმა და გაკვირვებით შეხედა მორთულ ბავშებს. „თუ შეიძლება, კარი გაგვიღეთ, საქმე გვაქმს თქვენთან, — წადგა წინ კატო. ღეღა-კაცმა კარი გაუდო და ისინი შევიდენ; იმათ დანახვაზე, ჩატარა ქალი კუთხეში მიიმალა.

„აი! ჩვენ ეს მოუტანეთ ამ ქალის!“ დაიწუო სოფი-
 კომ და გაუწოდა დედა-კაცს დედოფალა“. „ჩემ ნუცას? —
 გაკვირვებით ჰყითხა დედა-კაცმა. „მერე თქვენ საიდან გაი-
 გეთ, რომ მაგას ასე ენატრებოდა დედოფალა?“ — ჩვენ ფა-
 ნჯრიდან დავინახეთ, სტაფილოს რომ ათამაშებდა დედო-
 ფალას მაგიერათ!“ — აუსხნა კატომ. „აი, თქვენ კი გენა-
 ცვალეთ! რა კარგი გულის ეოფილხართ! მაგაზე მეტათ
 ვერაფრით გაახარებდით ჩემ საწეალ ბავშვს! რამდენი ხა-
 ნია, მეხვეწებოდა, ჰატარა დედოფალა მიუიდეო, მეც დავ-
 შირდი, მაგრამ ღარიბი ადამიანი ვარ, სადა მაქვს სადე-
 დოფალო ფული! დავპირდი, და ეიდეა კი ვერ მოვუხერხე!
 ახლა კი თქვენ მოუტანეთ!“ — ამბობდა გახარებული დე-
 და. რეზომ ამ დროს გამოართვა სოფიკოს დედოფალა
 და მიუახლოვდა ნუცას. ნუცა კუთხეში იმალებოდა და
 არც უეურებდა მას; მაშინ რეზომ დედოფალა კალთაში
 ჩაუდგა; ბავშვა აღტაცებით მოკიდა მას ხელი, მიიხუტა
 გულში და გვერდზე გახედა რეზოს. „მოგწონს? — კარ-
 გია? — შამოეხვიუნ სამივე ნუცას. „კარგია!“ წაიპუტუნა
 აწილებულმა ნუცამ და თავი მირს ჩალუნა. ეტეობოდა,
 რომ მის სიხარულს და ბედნიერებას საზღვარი არა ქო-
 ნდა. მაგრამ კატო, სოფიკო და რეზო კიდევ უფრო ბედ-
 ნიერები იუვენ, ისინი მხიარულათ დაბრუნდენ მინ და მთე-
 ლი დღე მარტო ნუცაზე, მის სტაფილოზე და ნახუქარ
 დედოფალაზე ლაპარაკობდენ.

ქურდი და მაღლი

(ეზოშის)



ამე იყო. ცას ღრუბელი
გადაკეროდა ბნელათ, შავათ;
ავაზავი ერთ სახლის წინ
მიიპარა საქურდავათ.

წამოუხტა მცველი ძალლი,
შურდულივით გამოქანდა,
შორი-ახლოც არ მიუშვა,
აუეფდა და აღავლავდა.

რა რომ ქურდმა დაყვავებით
ვერაფერი მოაგვარა,
ბოლოს პურის ნატეხები
აიღო და გადლუარა.

ძალლი ლფრო გაგულისდა,
გაკაპასდა თანდათანა,



ଓଡିଶା ସାହିତ୍ୟ ଏକାଡେମୀ
ଓଡିଶା ସାହିତ୍ୟ ପରିଷଦ

ଜୀବିତରେ ଶିଲ୍ପି ଗ୍ରାହକେ
ରା ତାନ ଆଶ୍ରୀ ଧୂର୍ତ୍ତାନା.

ଶୁଣୁଟାଙ୍ଗ ଏକ ମଧ୍ୟବିନ୍ଦୁରେ
ରା ଗାନ୍ଧିରାଖୁଗିତ ମାଦଲ୍ଲେଖଫି ପୈଲ୍ଲିରେ,
ଶୋଭ ମତଲାତ ଧାମାଗମିବିନ୍ଦେବଦି
ମାଗ ଲୁହମେବିତ ହେବେ ସାମିଶାଖୁରେ.

ଶିଲ୍ପି ଦେଇବିତ୍ତିର, ଅବାଞ୍ଚାଯିତ,
ତୁମ୍ଭିଲାତ ପ୍ରଦିଲାପ ଗ୍ରେଲ୍ଲୁର ଝନ୍ଦେବା;
ବେରା ଦାଲା ବେର ଅମିକ୍ଷନିତ
ମେ ପ୍ରାତିରାନିତ ଗ୍ରହିତୁଲ୍ଲେବା.

ଶ୍ରୀ ଶିଳ୍ପି



კუზიანი ლიეკ.

ჩინური ზღაპარი

(თარგმანი)



უ-ტმეჭს განაპიროს ცხოვრებდა ღარიბი კუზიანი მეთევზე ლიეკ. უველანი იმას „კუზლარას“ ეძახდენ. ის იუო მარდი, გამრჯელი და მხიარული კაცი; მარჯვე მეთევზე და, ამას გარდა, კაი ქემუსიგეც. ლიეკ საკმაოთ განათლებულიც იუო, ასე რომ ბეჭრი მიდიოდენ მასთან რჩევის მისაღებათ. ღარიბი „კუზლარა“ კმაყოფილი იუო თავისი ხვედრით, და იმისი სურვილი მხოლოთ ის იუო, რომ საკმაოთ ჟეოლიეთ თევზის მუშაორი.

ღამე იუო, მთვარე ამოვიდა და მერთალი ნათელი მოჭიინა ლამაზ ქალაქს. გრილოდა. უელა მოსვენებას ეძლეოდა. ლიეკ კი ფრცი-ფუცი იუო. ის ემზადებოდა სათევზოთ წასასვლელათ და თან მხიარულათ უმტკვენდა.

— ცა მოწმენდილია, ბოგარე შვენივრათ ანათებს, ფიქრობდა ის, — თევზი კარგათ მოხვდება.

კუჭიანმა უკელაფერი მოამზადა და ნავში ჩაჯდომას აპირებდა. რომ მას დაუშაირდაპირდა შვენიერი ნავი, რომლიდანაც მოისმა ხმა:

— ის არის! ეს სწორეთ ის არის!

— აი, დასწეუვლის დმერთმა! ი სურათი რამ დამავიწეა შინ? აბა, უიმისოთ როგორ ვიცნობთ? ხეალამდის უნდა გადავდგათ საქმე, — თქვა მეორებმ.

ისინი მიუჟახლოვდენ ლიეუს თევზის ღუქანს. ერთმა მათვანმა ხმა მაღლა წაიკითხა ღუქნის წარწერა: „ლიეუაქ ისეიდება უოველნაირი თევზეული“. ბოლოში ეწერა: „ჰუ-გუ“, რაც ნიმნავს: „ის თქვენ არ მოგატეუებთ“.

ლიეუს ეგონა ესენი თევზის მუშტრები არიანო, და ღუწეო თავის სავაჭროს ქება:

— მობმანდით, ბატონებო, მობმანდით, ღიდებულნო! რას ინებებთ? საუკეთესო ახალ თევზს მოგაროთმეთ. უოველნაირი თევზეული მაქვს... გოგოით გასუქებული გარეული იხვებიცა მეავს და ოქროს ფერი „კინ-იუ“ (თევზები), რომლებიც აშვენებენ ბოგდისანის სასახლეს.

მაგრამ უცნობმა ღაწერა რამდენიმე სიტუა და უბმანა მენავეებს გაბრუნებულივეუნ. — წასკლის ღროს კიდევ რამდენჯერმე მოჭხედა მეთევზეს. ლიეუმ თვალი გაბაჟოლა იმათ, მხრები აიწია და მალე დამშვიდდა, რაღგანაც არაფრისა და არავისი არ ემინოდა: ის გრძნობდა, რომ არავისათვის არაფერი დაემავებინა, და მტრები არა ჰქავდა; ის ღიდებულნი ავაზაკებს ხომ სრულებით არა გავდენ!. აიღო ნიჩაბი, მოუსვა და გაემგზავრა.



დილის ათი საათი იუ. ლიეჟ დაბრუნდა თევზაობიდან და ცოტა შესჭენებას აპირებდა. ის მსიარელათ ლიღინებდა და თან თევზებს აწეობდა.

უცრათ ლიეჟმ შეწყვიტა სიმღერა და უსიამოვნება დაეტეო: გამოჩნდა გუმინდელი ნავი. ორივე უცნობი გულმოღვინეთ უუურებდენ ამას, მერე რაღაცა ქადალდის კითხვა დაიწეს და, ბოლოს, ისევ წამოიძახეს:

— ჭო, ეს ის არის, — უეჭველათ ის არის!

— დიალ, მე ვარ, უკმაეოფილოთ უპასუხა ლიეჟმ. რა გნებავთ ჩემგან? — უცნობებმა მდაბლათ თავი დაუკრეს და წავიდენ.

მოთმინებიდან გამოსულმა ლიეჟმ ერთი ლაზათიანათ შეუკურთხა მიმავლებს. შემდეგ უაზო მეზობლებს თავ-გადასავალი.

ქნახოთ, ნაცნობი ნავი მესამეთ მოუახლოვდა იმას. ნავს მოჰქვებოდა ორი შვენიერი ზატარა გემი, ბაირაღებით მორთული. ლიეჟსა და იმის შეზობლების განცვი-ფრებას საზღვარი არა ჸქონდა, როცა გემში მსხდომარე წარჩინებულ მანდარინებმა დაუჩოქეს გუზიან მეთევზეს და ისე დაუკრეს თავი. შემდეგ ერთმა უფროსმა მანდარინმა მოასენა მას უნდა წამობმანდეთო.

— სად უნდა წამოვიდე? ჭკითხა გაკვირვებულმა ლიეჟმ.
სასახლეში, იმშერატორთან...

ამალო ცდილობდა მეთევზე გაეგო, რათ მიჰეავდათ ის სასახლეში. არწმუნებდა მანდარინების — ალბათ რამე შეცდომა მოგივიდათო, ან იქნება ვინმემ დამცინა, თვარა ვინ მე და ვინ იმპერატორით.



მანდარინებმა უბმანეს აფიციენტს, რომ ლიეუსათვის ჩაეცმიათ ძვირფასი სახელმწიფო უნივერსიტეტის, მერე შესაფერი პატივისცემით ჩასვეს ის გემი და წავიდენ.

გაკვირვებულ ხალხს გერ გაეცო, რას ნიშნავდა ეს ამბავი.

მინამ ლიეუ და მისი თანამგზავრები მივლენ სასახლეში, მე აგიხსნით ამ საკვირველ ამბავს

იმ დროს, როცა ეს მოხდა, ჩინეთის იმპერია მეტათ გაჭირებულ ძღვომარეობაში იყო. უფირსი მეფეები მარტო თავიანთ სიამოვნებას მიღევდენ, ჰულანგავდენ სახელმწიფო ხაზინას და ხელს უწეობდენ ხალხის გარევნილებას. მანდარინებიც მათთან ერთათ ქეიფობდენ და არა ფიქრობდენ ხალხის კეთილ-დღეობაზე.

ბოლოს შეწებებული ხალხის სანუკეშოთ, სახელმწიფო ტახტზე ავიდა ახალგაზდა ღირსეული პირი. ახალ მბრძანებელს სულით და გულით უნდოდა რიგია; გზაზე დაეჭინებინა ხალხის ცხოვრება, მაგრამ არა ჟესავდა მას კეთილი და პატიოსანი თანამემწენი. დიდათ წესდა ხალხის უბედურებაზე და სულ იმის ჭიქრში იყო, როგორ ეშველნა საქმისათვის. სანდისხან მთელი დამე მიღი არ ეკარებოდა. და, აი, ერთ დამეს სიზმარში ნახა იმპერატორმა ის კაცი, რომელიც მას უნდა დაეჭინებინა პირველ მინისტრათ. მეორე დილით იმპერატორმა დაიბარა მსატვარი და აუწერა შეხედულობა სიზმარში ნახახი კაცისა; უბმანა დაეხატნათ რამდენიმე ცალი სურათი იმ კაცისა. ამ ნახატების შემწეობით ემებდენ მთელ იმპერიაში იმ კაცს, რომელიც უნდა ეოფილიერ იმპერატორს შემდეგ პირველი პირი. ეს მომავალი პირველი მინისტრი იყო ის კუ-

ჭიანი მეთევზე, რომელსაც დიდი სანი ეძებდენ და ბოლოს იპოვეს მანდარინებმა.

ლიეუ მიიღებანეს სასახლეში და დიდის ამბით წარუდგინეს ბოგდისანს. იმპერატორი სიხარულით მიეგება მას და უთხრა:

— თვით ზეცამ ამოგირჩათ თქვენ ჩემ ბრძენ მრჩევ-ლათ. გევედრებით თქვენ, ნურაფერში ნუ მომეფერებით, ნუ დამიმალავთ ჩემს ნაკლულევანებას; დამეხმარეთ, რომ შევიქნე ღირსეული მეფე, და ეცადეთ, რომ ჩემს ხალხს დაუბრუნოთ დაკარგული ღირსებანი. მიაქციეთ უურადღება მართლმასჯულებას. მე კნიშნავთ თქვენ ჩემ ჰირველ მინისტრათ. მიბმანდით, წეს-რიგში მოიცვანეთ ჩემი სახელმწიფო.

ლიეუ, თითქოს სიზმარშიაო, ვერაჯერს ხედავდა, ვერაფერი გაეგო რიგიანათ. ჩუმათ დაუგრა თავი იმპერატორს და გავიდა. კარის გაცებმა შეიგებანეს ის მდიდრულათ მორთულ ოთახებში, რომლებიც მისთვის იქო მომზადებული. შემდეგ მდაბლათ დაუკრეს თავი ლიეუს და გავიდენ. ლიეუ მარტო დარჩა და ცდილობდა გონს მოსულიერ. ბოლოს დადალულ-დაქანცული წამოწვა რბილ ლოგინზე.

— საკვირველია, ღმერთმანი, ამბობდა ის, როცა თვლებდა: თითქოს დღეს გემოთაც არ მინახავს „სამშუ“ (ჩინური საჭმელი, ბრინჯისგან გაკეთებული) და რათ მერევა ასე გონება!

საცოდავ მეთევზეს ჩაემინა... გამოედგიძა იმავე მდიდრულათ მორთულ ოთახში. ტანზე ისევ ქვირფასათ ეც-

ვა. გამოვიდა ოთახიდან და მიეგებენ ისევ ის წარჩინებული კარისკაციი და მდაბლათ თავი დაუკრეს.

— ნუ თუ ეს სიზმარი არ არის? ფიქრიდა ლიეუ.

— ხომ არ ინებებთ იმშერატორის ნახვას? — ჰკითხა მას მოწიწებით ერთმა მანდარინმა. - ჩვენ ველით თქვენ ბრძანებას.

ამ დროს იმშერატორის სასახლეში შეიკრიბენ სახელმწიფო რჩების წევრნი. კრებაზე დაესწრო ლიეურ... იწყეს თასტირი იმზე, თუ როგორ ჩამოეგდოთ სახელმწიფოში მშვიდობიანობა და როგორ გაეუპეთესებინათ სალხის ზნე-ჩვეულება.

ლიეუ გულმოდგინეთ ისმენდა ლაპარაკს და უკვირდა, რომ უვილასი ცდილობდენ ერთმანეთისათვის გადაებრა-ლებინათ სალხის უბედურება, იმშერატორის კი უმაღლავდენ სახელმწიფოს ნამდვილ მდგომარეობას. ლიეუს გულ-გრილათ ვერ მოესმინა მანდარინების ცრუ ლაპარაკი... ბოლოს იმშერატორმა მიძართა ლიეუს, რომ მასაც გამოეთქვა თავისი აზრი. ლიეუმ უთხრა სრული ჭეშმარიტება, იმან ნათლათ დაუხატა იმშერატორის სალხის მდგომარეობა, რომელსაც ეოველი მხრით ცარცუავდენ, ახდევინებდენ მმიმე სარკს, და რომელსაც ისნის სასოწარკვეთილებიდან მხოლოთ ახალ იმშერატორზე დაექნებული იმედი. ლიეუ განსაკუთრებით წინააღმდევი იუო იმ მანდარინებისა. რომელსაც კისრულობდენ უმაღლეს თანამდებობებს, მხოლოთ მისთვის, რომ ეცხოვონათ უზრუნველათ.

— მშვიდობიანობა და ბეჭისერება ქვენისა, ამბობდა ლიეუ, — და აგრეთვე უბედურება დამოკიდებულია მინის-

ტრებზე. კარგი არ არის, რომ ამ ნაირი უმაღლესი თანამდებობა ებაროს იმისთვის პირებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან უზრუნველ ცხოვრებას; პირ-იქით ამისთვის თანამდებობაზე უნდა მოწვეულნი იქმნენ იმისთვის პირები, რომელნიც მიჩვეულნი არიან შრომასა და მოუგასზე ზრუნვას. პატივის ღირსნი არიან ბრძნენი და არა პირმოთხნი.

— აი, მაგისთვის მოგიწოდეთ მე თქვენ, უთხრა იმპერატორმა, უბრალო მუშა და ჩაგაბარეთ პირველი მინისტრობა. და არც შევცდა.

შემდეგ იმპერატორმა ცალკე დაუწეო მას ლაპარაკი და უამბო, რა მიზეზითაც ამოირჩია ის პირველ მინისტრათ. ლიეუ უარს ეუბნებოდა იმის გამო, რომ საკმაო კანათლება არა მაქსო და კერ შევიძლებ ამ მძემე თანამდებობის ასრულებასათ. ახალგაზდა იმპერატორს მალიან მოეწონა ლიეუს სითავდაბლე და თხოვა მას არ მოუგლო მისთვის თვეის ბრძნული რჩევა:

--

იმ სახელმწიფოში მალე ეველაფერი საუკეთესოთ შეიცვალა, ლიეუ დღე-დამე მუშაობდა. ის თვალ-უურის ადგენებდა მანდარინების მოქმედებას; მეცნიერათ სჯიდა და ითხოვდა სამსახურიდან უღირსების და მათ მაგიერ ნიშნავდა ბრძენ და ღირსეულ პირებს, რომლებსაც მინამდის უბრალო ადგილები ეჭირათ. ამ ნაირათ მართველობა სახელმწიფოში შეიცვალა.

ლიეუს მალე ბევრი აემტერენ. შედგა ძლიერი დასი მოწინააღმდეგეთა, რომლებიც ცდილობდნენ „დაწეველილი კუზიანის“ მოშორებას. ეს ისინი იუვენ, რომლე-



ბსაც ლიეუ ნებას არ ამლევდა ხალხის ცარცვისას. ახალი მინისტრი უურადღებას არ აქცევდა არც დაცინებას, არც მანდარინების უკმარიფილებას. ის იმითი ნუგეშობდა, რომ ხალხი მას ლოცვადა და მადლობელი იყო.

ერთ დაბეს ლიეუ, ტანისმოს კამოცვლილი, მივიდა ქალაქის გალავნის კარებთან და ნახა, რომ დარაჯები კარებს უღებდენ შემსვლელ-გამსვლელთ იმ დროს, როცა კანონის მაღით არავისათვის არ უნდა გაეფოთ. მით უფრო რო საშიში ცეც ამ კანონის დარღვევა, რომ იმ ხანებში უოველ წამს მოელოდენ „წითელ წარბება“ ავაზაკების თავ-დასხმას. ისინი არე-მარეს ცარცვავდენ და ძრწოლაში ჰქავდათ ხალხი. ამ ავაზაკებს ეძახდენ „წარბ-წითელებს“, იმიტომ, რომ, ნიმნათ დაცინებისა, ისინი წითელათ იღებავდენ წარბებს. ლიეუმ გაუმეორა დარაჯებს ზემოხსენებული კანონი.

რამდენსამე დღეს შემდეგ, იმშერატორი დამით დაბრუნდა ნადარობიდან და გალავნის კარი დაკეტილი დასკვდა. ამავე დროს ქალაქის კანაპირა უბნებს ათვალიერებდა კუზიანი მინისტრი. მას შემოესმა კარების რახუნი; მივიდა და იკითხა, ვინ არის, რომ ასე უდროვოთ არა-ხუნებსო.

— იმშერატორი ბრძანდება, უზრდელათ უშასუსა ჯარის კაცმა, რომელმაც ვერ იცნა მინისტრის ხმა.

— იმშერატორი ისე უნდა ემორჩილებოდეს თავის ქვეუნის კანონებს, როგორც უოველი ქვეშვრდობი. კანონი ბრძანებს, რომ ასე უდროვოთ კარი არავის გაეღოს და ვერც იმშერატორს გავუდებთ, უთხრა მინისტრმა.

ასეთმა ბასუნძღვა თავ-ზარი დასცა იმპერატორის მხლე-ბლებს. ამ დროს თვით იმპერატორიმა მიაჭენა კარებთან ცხენი. იმას გადასცეს მინისტრის ბასუნი და ამასთანავე, რამდენათაც კი შეიძლეს, გააზვიდეს მისი უზრდელობა. იმპერატორის ჯავრით ფერი წაუკიდა; ბრაზ-მორეულმა უბრძანა კიდე დაერჩხუნებინათ კარები. კარის მცველებმა უპასუხეს, რომ, თუმცა დიდათ ბატივსა ვცემთ ბოგდისანს, მაგრამ არ შეგვიძლია მოვიქცეთ კანონის წინააღმდეგათ.

— ვცადოთ მეორე კარებთან, სიმწარით თქვა იმპერატორმა; თუ დანარჩენი დარაჯებიც ასე მტკიცეთ ემორჩილებიან პირველი მინისტრის ბრძანებას, მაშინ ან საზაფხულო სასახლეში უნდა დავბრუნდე, ან ცას ქვეშ გაგრძარო დამეო.

ლიტე კი უფლიდა ტალავანზე და ეოველ კარების მცველებს აფთხილებდა, რომ არავისათვის გაეღოთ კარი, თუნდაც თვით იმპერატორი უოფილიერ.

მაგრამ როცა იმპერატორის მხლებლები მივიღენ მეორე კარებთან და დარაჯებმა იცნეს ისინი, ვეღარ გაბედეს უარი და გაუდეს კარი. ამბობდენ კიდეც, რომ დარაჯები განგებ მოიქცენ ასე, რომ ესიამოვნებინათ ლიტეს მტკიცებისათვისათ.

ლიტემ ბევრი უღირისი მანდარინი დაითხოვა სამსახურიდან. ისინი მტრათ გაუხდენ მინისტრს. ასლა იმათ სისარულს საზღვარი აღარა ჰქონდა; ეკონათ, იმპერატორი სამსახურიდან დაითხოვს „კუნძიანსათ“.

როდესაც იმპერატორი დაბრუნდა სასახლეში, უველაბ შეამჩნა, რომ ის მალიან უკმაყოფილოთ იუო. ეკონათ იმპერატორი ხვალე დაითხოვს პირველ მინისტრსათ.



მეორე დღეს სასახლეში შეიკრიბენ მინისტრები. მო-
გიდა ლიეუც. იმას სოფლებით არ ეტუობოდა აღელვება...
კუნძინი მინისტრის დანახვაზე იმპერატორმა წარბები შე-
იჭმუხნა. ერთობ ჩაფიქრებული და აღელვებული იყო ბო-
გდისანი. იქნება ფიქრობდა, როგორ დავსაჯო ლიეუც, და
თანაც ვერა ბედავდა ამ სასარგებლო კაცის გაძევებას.—
სხდომა გათავდა. იმპერატორმა ერთი სიტუაცია არ უთ-
ხრა მინისტრს.

მაშინ ლიეუ წადგა ხელმწიფის წინაშე და მოახსენა:

— წუხელი რომა დარაჯმა აარღვია მეაცრი ბორბანე-
ბა, ოქვენგან დამტკიცებული: მან გააღო გალავანის კარი
აკრძალულ ღროს, იმის მაგიერ რომ მიებამნა ჰირკელი
დარაჯისათვის. უმჭველია, ერთი მათვანი სასჯელის ღი-
რისა, მეორე ჯილდოსა. ოქვენი უმორჩილესი მონიშ აზ-
რი შემდეგია: კანონს უველანი უნდა ემორჩილებოდენ. უბე-
დურია ის მსარე, რომელმაც უძალდესნი ჰირნი ცდილო-
ბენ კანონის გადაქელვას.

უმელანი გაჭერდენ და მოუთმენლათ ელოდენ იმპე-
რატორის სიტუაციას. მაგრამ იმპერატორი ხუმათ იყო და
ჩაფიქრებული უურებდა მის წინ მუხლ-მოდრეკილ საუგა-
რელ მინისტრს. შემდეგ ნელა წამოდგა და აღელვებული
ხმით თქვა:

— ბოქენი ლიეუ მართალია. კანონი უველისფერზე
მხოლო უნდა იდგეს. და ჰირკელმა ვინ უნდა უჩვენოს
მხგალითი კანონის დამორჩილებისა, თუ არა თითონ სა-
ლსის წინამდებლობა? დაუკონებლივ დაითხოვთ ის და-
რაჯი, რომელმაც წუხელი გამიღო მე გალავნის გა-

რები. იმათ კი, რომლებმაც პატიოსნათ აასრულეს თავიანთი მოვალეობა, ჩვენ არ დავივიწყებთ.


გაათავა თუ არა იმპერატორმა ლაპარაკი, უველა იქ მეოვენი შემოეხვიდენ კუჭიან ბრძენს, ულოცავდენ და აქებდენ უოველ იმის მოქმედებას. მომეტებულ თანავრმნობას უცხადებდენ მას მტრები, რომლებიც რამდენიმე წამის წინათ დიდ სისარულში იუვენ, რადგან ეგონათ მინისტრის დაითხოვენთ. ამ ნაირი ჰირების თანავრმნობას ლიტებ მაგდენი უურადღება არ მიაქცია. სამაგიეროთ დიდი სისარულით მოისმინა მან იმპერატორის ჰასუხი. ახლა ის დაწმუნებული იუო, რომ მისი მტრები ვეღარ იმოქმედებდენ იმპერატორზე და მართლაც, ამ ამბავს შემდეგ უთანხმოება აღარაფერში მოსვლიათ ლიტებსა და იმპერატორს. ასალვაზდა იმპერატორი, ბრძენი მინისტრის დახმარებით, შეიქმნა თავისი ქადაგი შექვერდომების საუგარელი. სალხი უწოდებდა მას „მამა“.

როდესაც იმპერატორი გარდაიცვალა, მაშინ კი ლიტეს მტრებმა ისევ ფრთები შეისხეს. იმათ იმოქმედეს ახალ იმპერატორზე და დაათხოვნინეს სამსახურიდან ჰირველი მინისტრი. მაგრამ ლიტეს ამაზე არ უდარდნა. ის დაბრუნდა თავის დუქანში და შეუდგა წინანდალ საქმეს.

ლიტე მოკვდა, აითქმის უვილასგან მივიწყებული. მსოლოთ უბრალო სალხს ახსოვდა იმისი ღვაწლი და უოველ გაჭირვების დროს იკონებდა თავის მფარველს და აშბობდა: „ნეტარება იმ დროს, როცა ჰირველ მინისტრათ კუჭიანი გვეავდა!“,.

ବୁଦ୍ଧିକୁଳ ଲ୍ୟାଙ୍କ୍

(ପ୍ରକାଶିତ ବ୍ୟାଖ୍ୟାନରେ ଡା. ବିଜୁତଲକ୍ଷ୍ମୀଙ୍କରେ).


 ତାଣି କାହା ଯମା ମ୍ୟାଗଦା,
 ପ୍ରୟୋଗାନ୍ତି ଉଚ୍ଛରିତ ଲିପିତା.

 କ୍ଵାଞ୍ଚିତ୍ତେବ୍ରଦ୍ଧ ଅୟାଲ୍ପ-କୋବଦ୍ବୀ,
 ଗାସମ୍ଭେଦି ଧରନିଲିଙ୍କ ଫିରିଥା.
 ଯିନିପି ହୂମି ଶେମ୍ବା, ଶେର୍ବଦି
 ଅଳାଲିତା ଦା ଜିର୍ଜିତା.
 ଏହି ତକ୍ଷେଣ ଗ୍ରୂପ, ମେଘେନ୍ଦ୍ର,
 ବିନ ଦାରିଦ୍ର ଅମାଶ ବିଜନା.



ჩვენი მტრედი



ანა მტრედზე უმანკო ფრინველი შეიძლება იქთს ქვეყანაზე?! აკი ისტორიულათაც შესანიშნავი ფრინველია მტრედი — სახით, უმანკოებით და სიკეთით. სული წმიდა მტრედის ფრათ დაბფგა იქსო ქრისტეს, როცა იგი ინათლებოდა მდ. იორდანეში იოანე ნათლის მცემელისაგან. მაშასადამე სული წმიდასთანაც კავშირი ჰქონია მტრედს. სიკეთეც დიდი მოუძფის მტრედს კაცობრიობასთან. ქვეუნის წარდგნის ღროს ნოეს კიდობანი რომ არარატის მთაზე კაჩერდა, ნოემ კამოუშება კიდობნიდან მტრედი ამბის შესატეობათ. მტრედმა იფრინა, ნახა ზეთის სილის მცენარე, მოწევიტა თავისი პატარა ნისკარტით პატარა ძრო ზეთის სილისა, მოუტანა კიდობანში ნოეს და ახარა, რომ ახლა კი შეგიძლია კიდობნიდან გამოსვლა და სმელეთზე ცხოვრებათ. ნოესაც კაეხარდა. კადო კიდობნის კარები, კამოვიდა თავის ცოლ-შვილით და იქვე ახლოს არარატის მთის ფერდობზე დაიწულ ცხოვრება, მტრედს რომ არ ეხარებინა წელის დაშრობა და სმელეთის კამოჩენა, ვინ იცის, რა მოელოდა ნოეს თავის სახლობით კიდობანში?! მტრედმა გადაარჩინა ნოე თავის სახლობით და ჩვენც, ადამიანებს როგორათაც ნოეს ჩამომავლობას დიდი მაღლობის გადახდა გვემდებარებულის მტრე-

დისა. მაგრამ დასე, რამდენათ გაუმამდარი და შეუბრალებელია ადამიანი! ამ პატარა უმანქო ფრინველსაც კი შეუბრალებლათ უსიკობს სიცოცხლეს. განა თუ იმას ფიქრობს ადამიანი, რომ ამოდენა სიკეთე მოუძღვის მტრედს ჩვენთან — სული წმიდის მოსაკრებლათ და ამანაც იცხოვოს ქვეუანაზე, იღუდუნოს და შექხაროს ბუნებას. ან კი რა გაუხდება ერთი მუშტის ოდენა მტრედი დორ-მუცელა ადამიანს, რომელსაც არავითარი შებრალება არა აქვს არც ცნოველებისა და არც ფრინველებისა. უველას უღმერთოთ და შეუბრალებლათ უსიკობს სიცოცხლეს თავის გაუმამდარ მუცლისთვის. განა ადამიანზე ბოროტი, შეუბრალებელი და გაუმამდარი იქნება-ვინმე მთელ ქვეუანაზე?! სხვებისა კი რა მოგასხენოთ და მე კი მღიერ მიუვარს მტრედი და ნამეტნავათ მისი ღუღუნი. მტრედის ღუღუნზე მომავინდება ხოლო აკვანში მწოლობრე უმანქო ჩვილი ურმის ღუღუნი, რომელსაც ხელები ამოუშლია არტახებიდან და მაღლა აკვინის სახელურზე ჩამოვიდულ სათვალ-ღვინჭილს თავის ჰატარა თათებით ეთამაშება, შეღუღუნებს და ღერაც გვერდზე მომჯდარი ეუბნება: აღუ-აღუ! მტრედია და ამ ჰატარა უმანქო ანგელოზსავით ემაწვილს ერთნაირათ ცოდნიათ სიმღერა და ღუღუნი, როგორათაც უმანქო ანგელოზ ჩვილი ურმის მოსილაბ მნელი, აგრეთვე ამ უმანქო — მისი მზგავსი მტრედისა...

ჰატარაობითვე მიუვარდა მტრედი და ახლაც კი რას დავივიწებ მის სიუვარულს. დღი ხანია, მინდოდა მტრედი სადმე მემვა, ჩემთან მეცხოვერებინა და დავკვირვებოდი მის ცხოვრებას. ერთ დღეს სიღამოს ლოცვაზე ერთმა



მოსუფრი დედაქაცმა ორი მტრედის ხუნდი მოიგებანა ეპ-
ლესიაზე კალათით და შეეხვეწა ბდვდელს: წინა კვირაში ჩემ
ქალიშვილს ბაღლი გადაუცვალა, ეს მტრედები მის სუ-
ლის მოსახსენებლათ მიკურთხე და თქვენვე ინებეთო“.
• მოძღვარმა აკურთხა მტრედები, ერთი თითონ წაიუვანა
და ერთიც მე მიუვაჩინა. წამოვიუვანე მინ - გავზარდე და
შევიჩივ. დილით მისი ღუღუნი გაგვაღვიმებდა ხოლმე;
ჩვენც ავდგებოდით, საქათმოდან გამოუშვებდით, საკენკს და
გუერიდით ეველა შინაურ ფრინველებს და ჩვენი მტრედიც
იმათმი გაერეოდა. საწეალის ეველანი იბრიუვებენ — ბატე-
ბი სისინით, მამალიც ეხსუბებოდა, ჩემ სახელმწიფოში
შენ რა ხელი გაქვსო, ქათმებიც საკენკის ჭამის დოს
არ უძვებდენ — იმათაც კი არა ჭრნიათ შებრბლება. ფი-
სუნიაც კი მტრათ გაუხდა; განაბული შორიდან გამოექა-
ნებოდა, ცდილობდა დაჭერას, თავის კლანჭებში ჩაგდებას,
მაგრამ საწეალი მტრედი მოასწრობდა ხოლმე აფრინას
და ამ გვარათ გადარჩებოდა ხოლმე ფისუნიას. სანაც იჯ-
დებოდა თავისთვის მოწენილი, ცალ ფეხს მაღლა აი-
ღებდა, მობუზული, გულ მოსაყლავათ, მოწენით
უძერდა ქათმებს, მამლებს და სხვა ფრინვლებს,
როცა ისისი ერთმანეთში მხიარულობდენ. ჩვენი მტრედიც
სატრობდა თავის ტოლს და დარდიანობდა. მეც იმასა
ვგრძნობდი და მეცოდებოდა საწეალი მტრედი; ავდექი და
ვუთხარი მდვდელს: ან შენი მტრედი მომეცი და ან ჩემი
შენ წაიუვანე მეთქი. ორივენი ცალ-ცალკე ჯავრიანათ არი-
ან, მაგათ ცოდვით ვინ იცის რა მოგვივა-მეთქი. ღმერ-
თიც უძველის, მღვდელმაც აიღო და თავის მტრედი მე
მაჩუქა. შინ რომ მოვიუვანე, ძლიერ გაეხარდათ ორივეს.

მამალი მტრედი კი კისერ გაბული ღუდუნით გარშემო უვლიდ ღედალ მტრედს — ღედალი — მტრედი კი ნახათ იქცეოდა. ხანაც ორივენი ერთათ აფრინდ-დაფრინდებოდენ და სარააზე ერთათ ჩამოსხდებოდენ. ოოგორათაც ადამიანებს და ცხოველებს, ფრინველებსაც კი ცოდნიათ მიჩვევა და სიუვარული; ოოგორათაც ადამიანებს და ცხოველებს, ფრინველებსაც ნდომებია აღზრდა, მოვლა და სწავლება. ჩვენი მტრედი ჯერ გაუწურთხავია — არ იცის, სხვებისავით თამაშობა ჭარბი, მაგრამ მედია, მალე უველავერს ისწავლის.

რაც ვაკერდები ამ ღედალ-მამლ მტრედის ცხოველებას, გაოცებულ გარ თითქმის ადამიანებშიაც კი არ არის ამ გვარი სიუვარულით ცხოვრება. ჩვენ ღედალ-მამალ მტრედს ერთი მესამე მტრედიც მივუმატე, მაგრამ არც ერთმა ახლოს არ მიიკარა — თურმე მარტო მტრედებს ცოდნიათ და აუზრულებიათ ღვთისგან დაარსებული კანონი შეუღლებისა. არც ადამიანები და არც ცხოველები ამას არ ასრულებენ. სასიამოვნო საურებელია, როდესაც ღედალ-მამალი მტრედი ერთმანეთს ეალერსებიან; ნისკარტს ნისკარტში ჩაუერიან და ერთმანეთს ესიუვარულებიან. ხანაც ნისკარტით ერთმანეთს ასუფთავებენ — თავს უხილავენ. ავერ მოატანა ბუდობაშ. ღედალ-მამალი მტრედები ეზიდებიან პირით ჩალა-ბულას — ერთ კუნჭულში ბუდის გასაკეთებლათ. გააკეთეს კიდეც ბუდე, ღედალმა დადგა ორი კვერცხი და დაჯდა ზედ, რომ არ გააცივოს კვერცხები. მამალი მტრედი ამ დროს გარეთ ეხოში დაიარება საჭმლისა და სასმლის საშოვრათ. შემდეგ მოვა ბუდესთან, ღაუწებს ღედალ მტრედს ღეღუნს — ეუბნება: გეუოფა, შენ ამდენ ხანს კადომა კვერცხებზე — აღექ, გაიარ-გამოიარე, შეისვენე. ახ-



ლა ჩემი ჯერია კვეცხებზე კდომა. ღედლი მტრედიც უგონებს, ღება ბუღიდან და მის მაგიერ ახლა მამალი მტრედი კდება კვეცხებზე. ასე რიგ-რიგათ კლებიან, სანამ ბარტებს გამოჩეკდნ. აგერ ერთ შვენი-ერ ღდეს, როცა მამალი იჯდა კვეცხებზე, გამოიჩეკა ხუ-ნდები და საშინელი სიხარული ღუდგათ. მამალი მტრე-დი ზედ დაჭილულუნებდა და ღედლიც შორიახლოს ფრთებს აფრთხიალებდა, უნდოდა მისულიურ თავის შვილებთან და დაეხედა, მაგრამ მამალი მტრედი ახლოს არ უშვებდა, თა-ვისთვის ისაკუთრებდა. როცა მამალ მტედს მოშევდა, მა შინ კი იყადრა ადგომა და მის მაგიერ ახლა ღედლი მტრედი დაჯდა. ამ გვარათ რიგ-რიგათ სხდებოდნ და თავიანთ ნისკარტითაც საჭმელ-სასმელს უზიდავდნ, აჭმევდნ და ზრდიდნ შვილებსა. ასეთი ერთმანეთის დახმარებით შვილე-ის ადგრძათითქმის ადამიანებმიაც კი არ არის. ღამე რომ აკვა-ნში ბავში ტიროდეს, ვაშვაცი არც კი იყადრებს ხოლმე აკვნის გადარწევას, სულ ღედის ანაბარა არის. მართ-ლაც რომ მტრედის ცხოვრება უგელა მხრით შესანიშნავია და სამაგალითოა ადამიანებისათვისაც კი. ავიღოთ ღე-დალ-მამალი მტრედის სიეგარული, მათი ბუღობა - ბა-რტების გამოჩეკა და ადგრძა, რამდენათ სამაგალითოა ეკელასათვის. მტრედის ბარტები მალე წამოიზარდენ. ფრთები შეისწეს, პატარა მანძილს აფრინდ-დაფრინდებო-დნ. ღედალ-მამალი შემობელი შვილებით - ერთათ ღუღუნებდნ, ცას და არე-მარეს შეჭხაროდნ და ჩვენც მათ პატრონებს ძლიერ გვასიამოვნებდნ; მაგრამ ეს სია-მოვნება დიდხანს არა გვქონდა. ის თრი მტრედის

ბარტერი ჩვენ ნათესავს გახუქეთ. ერთი მამალი მტრე-
 დიც სხვაძ წაგიაროვა. დაკვრჩა ისევ ის დიდი დედალ-მა-
 მალი მტრედები... საწელებს შეატყოთ მოწევნა, შვილე-
 ბის მოშორება. აღარც ამათ დაეკარათ კარგი. ერთ შე-
 ნიერ დღეს, როდესაც ჩვენი მტრედები მეზობლიანთ სარ-
 თულზე დასხვენ, მეზობლიანთ ბოროტბა ბიჭმა ქვა ეს-
 როლა; მამალმა მტრედმა კი მოასწორო შინისევნ გამოვ-
 რენა, მაგრამ დედალი კი მირს დაეცა დარეტიანებული
 და მალეც მსხვერილი განდა მეზობლიანთ შეუბრალებული
 ბოროტი ბიჭისა. საწელი მამალი მტრედი დიდხანს ელო-
 და დედალი მტრედის მოფრენას, მაგრამ ის აღარსად გა-
 მოხნდა. არ იყოდა, რა ექნა დარღისაგან, ხან საით გაი-
 მზეოდა და სანსაით — ბოლოს გაჯავრებული დედლის სა-
 ძებრათ წაკიდა და დღესაც არ ვიცით, რა მოუვიდა ჩვენ
 დაკარგულ მტრედს. არ ვიცით, თავის მიჯნურის მებნაში
 თითონაც თავი შეწირა, თუ ისევ ცოცხალი მოგვიგა?

თოშა ასათანი



უზარ-მაზარი ცხოველი.

სპილო და მისი ჭკუა-გონება

II.

(გაგრძელება).



ოცა სპილოს თავისუფალ, ველურ ცხოვ-
რებაში ნახავთ, გეგონებათ ამაზე ზანტი, გა-
უთლელი და ტლანქი ტეინის პატრონი არც
ერთი ცხოველიარ არისო, მაგრამ ვისაც კი სპი-
ლო და მისი ცხოვრება დაახლაებით გაუ-
ცნია, იმ აზრისაა, რომ სპილო თავის ჭკუა-გონებით არ ჩამორჩე-
ბა სხვა ჭკუან ცხოველებს—ცხენს, ძაღლს და სხვ.

ბრემი მოვითხრობს, რომ სპილო ბუნებითვე გონება-მახვილია
და მეტადრე მოშინაურებული სპილო, ადამიანთან ხანგრძლივი
ცხოვრების დროს, ჭკუის ვარჯიშობით თანდათან უფრო ვითარდე-
ბა, გონება ეხსნება და თავის მოსაზრებით და გულის ყურით ყვე-
ლის აკვირებს. სპილოს მოსაზრება გასაოცარია, „ასჯერ გაზომავს
და ერთხელ გამოჭრის“.... ყოველ საქმეს ჯერ მოსაზოავს, მერე გ•
აკეთებს.

თავისუფალ ველურ ცხოვრების დროს, სპილო სრულ გან-
ცხრომაშია, ჭკუას ძაღლას არ ატანს, რადგან მისი აყვავებული სამ-



შობლო მეტათ მდიდარია ბუნებით და ყოველივე მისთვის საჭი-
რო საზრდო-საკვებავი თავსაყრელათ აქვს. მაგრამ „გაჭირება ჩი-
ხევნე, გაჭერება გიჩხეობო“, სავმაო რაიმე გაჭირება დალგეს—ან
საკვებავი გაუხდება საზრუნველი, ან მოულოდნელი მტერი დაეცე-
მა და საშიშო რამ მდგომირეობაში ჩაერდება—მაშინ, სიცოცხლე
გაქვსთ, სპილო ჭკუს ძალას დატანს ხოლმე და გასაოცარი მოსა-
ზრებით ებრძეის გარემოებას, და გამარჯვებულიც რჩება.

გამოსწენილი მოგზაური და მეცნიერი ტენინტი მოგვითხობს, რომ ველურ სპილოთა ნახირი ელვასა და ჰექა-ჭუხილის ღრმს უცაპ ანგებძს თავს მაღალ ხეებს, გამორბის ტყიდან და ახალ ად. გილებზე, სადმე მინდოორ-ჭალაში გროვდება და აქ იცდის, ვიდრე ცა და ქეცეანა დაწყნარდება და სრულებით გამოიდარებს.

ბრემი აღტაცებით დასკვნის - „ერთათ-ერთი, ეს გონიერი ჩვეულება საკმაოთ და აშკარათ გვიმტკიცებს სპილოს ნამდვილ ჭიუას და ალარცაა საჭირო გრძელი და მჭერიმეტყველი მოთხოვნები!“

ამ მოსაზრებით სპილო ადამიანსაც სჯობნის: ამა რამდენი კა-
ცი ვიცით, ჰექა-ქუხილის ღროს დიდრონ ხეებს ჰევშ ეფარება და
არც იცის, რომ მეხი უფრო მაღალ ხეებს და შენობებს დაეცემა
ხოლმე.

მოშინაურებული სპილო უფრო საკვირველ მოსაზრებას გამოიჩინს ხოლმე.

„ერთხელ საღამო ხანსაო—ასე შოგვითხრობს მეცნიერი ტენე-
ნტი— ცხენით მიედიოდი და კანდის ახლო, ტყე უნდა გამეარა. უე-
ცრათ ჩემი ცხენი შექრძა და ყურები აცვიტა, დაბურულ ტყი-
დან რაღაც ხმაურობა მოისმოდა; თითქოს დევ-გმირი ვინმე ხვენე-
შისო. ცოტა რომ მიეცხლოვდით, მაშინვე მიეცხდით, რომ ეს ხმა
შინაურ სპილოს ეკუთვნოდა, რომელიც მძიმე საჭმეში იყო გარ-
თული და მარტო მარტოთ მუშაობდა, ესე იგი კაცი არაეინ ადგა
თავს.—სპილ.ი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ცდილობდა გამოე-
ტანა ტყიდან მძიმე ხე, რომელიც მის ეშვებზე დაედოთ,
და, რადგანაც ბილიკი ვიწრო დახვედრობდა, თავს ხან მარჯვნივ გა-
დახრადა, ხან მარცხნივ, რომ როგორმე მოეხერხებია ხის გამოტანა,
საჭმე ძლიერ უძნელდებოდა და ამიტომაც გაჯავრებული გმინაედა.
ჩეენ დაგვინახა თუ არა, ჭკვიანმა ცხოველმი თავი აიწია, ერთ წამს
გვიყურა, მერე უცებ ჩამოაგდო ეშვებიდან ხე, თან უკა-
უკან გაიწია და ჯაგებში მიიმალა, რომ ჩეენთვის თავისუფალი გზა



მოყცა. ჩემმა ცხენმა მაინც ვერ გაძედა ესარგებლა ამ გვარი თავაზიანობით. სპილომ ეს რო შეამჩნია, ხენეშით გასწია დაბურულ ტყისკენ, მაგრამ გაჯაერება კი არ ეტყობრდა, მხოლოთ უნდოდა ჩენითების ეთქეა „გაიარეთ, ნუ გეშინიათო“. ცხენს მაინც ეშინოდა ფეხის გადადგმა. მე დიდი ყურადღებით ვადევნებდი თვალს ამ ორივე ჭკვიან ცხოველებს და ვუცდიდი, აცა ახლა რალას იზმენ თქო. ამიტომ ამათ საჭმეში არ ვერეოდი, არ უშლიდი, ენახო როგორ მორიგეობიან, რითი დააბოლოებენ საქმეს თქო. სპილო უფრო და, უფრო შორს ტყეში მიიმალა და მოუთმენელათ ელოდა, როდის გაეივლით. ბოლოს ჩემი ცხენი შიშის თრთოლით გაუდგა გზას და გავცდით თუ არა იმ ალაკს, იმ წამსვე სპილო გამოვიდა ტყიდან, ასწია ეშვებით იგივე ხე და განაგრძო თავის ძნელი მუშაობა“.

ამ გვარათ ინდოეთში, ცეილონის კუნძულზე ისე ჰყავთ სპილო გაწერთნილი, რომ თავის თავათ მიღის ტყეში, ხე-ტყეს ამზადებს სახლისთვის, მერე გამოზიდავს და სახლის მასალას წყობისათ, უჯრა-უჯრა აწყობს გასახმობათ.

რო სპალო გონება მახვილი და გულის--ურის მექონეა, ამას შემდეგი მაგალითიც ამტკიცებს.

ინდოეთის სატახტო ქალაქ კალკუტის ეპისკოპოზი დოქტორი დანიელ უილსონი წერს თავის შეილს:

„ჩემ მრეველში ერთ აფიცერს სპილო გაუხდა თვალებით აეათ და მთელი სამი ღლე ვეღარას ხედავდა. მოიწვევს ექიმი უებბი და შეეხერწენ სპილო დაეხსნა რითომე სიბრძმავისაგან. ექიმი გულმოდენეთ შეუდგა საქმეს. გათოვეს სპილო და ძალათ დაწვინეს. ექიმმა თეზაფის ქვა (ლიაპისი) წყალში გახსნა, ტილოს ნაჭერი ამოავლო და ცალ თვალზე დაადო სპილოს.“

წმიალმა ისე საშინლათ დასწევა თვალი, რომ სპილო სიმწვავისაგან საცოდავათ კერძოდა და ღრიალებდა.

მეორე ღლეს ნახეს, რო სპილოს ნაწიმლი თვალი მოაჩენაზე იდგა და ცოტათიც აეხილა. ექიმმა გადასწვეუტა, მეორე თვალის-თვისაც იმ გვარათე ეწამლა. სპილომ გაიგონა თუ არა ექიმის ხმა, იმ წამსვე უბრძანებლათ თითონ დაწვა, გადადო გვერდზე თავი, შეკუმშა ხორთუმი, განაბა სული და ადამიანივეთ ელოდა მწვავე წამლის ძალას. წამლობა რო გაათავეს, სპილო ადგა და ხორთუმის ქნევით, ტანის რხევით ყველას მაღლობა მოახსენა“.



აშკარაა, სპილოს კარგათ დაახსომდა, რო პირველ თვალზე წა-
მალმა მარგოო. ამიტომაც აღვილათ მიხედა მეორეთ ექიმის სურ-
ვილს და თითონვე ძალა დაუტანებლათ დაწვა და შეეხვეწა ექიმს
მეორე თვალზედაც მიწამლეო. ამისთანა მოსაზრება, უკიდულია, მხო-
ლოთ შეგნებულს და გონიერ ცხოველს შეუძლია.

III.

დღეს სპილოსთან უზარ-მაზარი ცხოველი მთელ ხმელეთზე
არსად მოიპოვება. მართლაც-და ერთი შეხედვით ეინც კი სპილოს
არ იცნობს, ყველას ის უკირს, როგორ დაიმონავებს ხოლმე კა-
ცი ამ საშინელ გოლიათ ცხოველსაო.

საქმეც ეგ არის, რო სპილო სულაც არ არი საშინელი ცხო-
ველი. პირ იქით ძლიერ მშეიდი ხასიათისა და ყველასთან მეგო-
ბრულათ ცხოვრებს. ასე გასინჯეთ, პატარა ცხოველთაც კი გზას
აძლევს - ოლონდ კი ნუ რას მერჩით და მე არავისთვის წყენა არ
მინდაო.

იგრე მეცნიერი ტენენტი ამბობს, რო სპილოსთვის ყველა-
ზე საშინელი მტერი ბუზი არისო. ცნობილი მეცნიერი კიუვე გვა-
რჩმუნებს, რო შინაურ სპილოს თაგვის დანახვაზე თავ-ზარ დაცე-
მულს შიშის თრთოლა აუტყდება ხოლმეო.

ზოგიერთა ცხოველები და მეტადრე ფრინველები ძლიერ მე-
გობრულათ ცხოვრებენ სპილოსთან, ვერ წარმოიღენთ, რა შევ-
ნიერი სანახავა, როდესაც ეს ძლიერი, ბუმბერაზი ცხოველა, კაძე-
ჩის ფერ ტიტევლა ტყავით შემოსილი, არხეინათ მიღის, მიიზღაქ-
ნება და ამ ღროს მთელი გუნდი თოვლივით თეთრ ფრინველებისა
მოსდებან სპილოს ზურგს; ამათში ზოგი ნისკარტს იწმენდავს, ზო-
გი ზის. ზოგი დარბის, ზოგი განცხრომას მისცემია; ზოგიც ტყავს
უხილავს, აცა ნაკეცებში ხომ არას დაუბუღნია, სპილო არ შეაწუ-
ხონო და ბოლოს ან მწერს რასმე დაიჭერს, ან ვევება წურბელას
გადაყლურწავს, რომელიც სპილოს მოეკიდება ხოლმე ღამე ბანიო-
ბის ღროს.

დიახ. ამ გვარი მყუდრო ცხოვრება უყვარს სპილოს და ისიც
სრულებით ტყურლია, ვითომ სპილო ლომ-ვეფხვებს ებრძევის ხოლ-

მეო. სპილო არავის არაფერს ერჩის და ვერც სხვა ნადირ-მხეცები და მოგვიანების უბედავენ სპილოს, აწყენიონ რამე.

საშრებაროთ უნდა აღვიაროთ, რომ აღამიანისთანა საშინელი მტერი სპილოს არავინ ჰყავს. ნეტავ უშავებდეს რასმე ეს გულ-კეთილი ცხოველი! ათასში ერთხელ შეიძლება მოხდეს, რო სპილო შაქრის ლერწმის პლანტაციაში გადაეიდეს და პირი ჩაიტკბა-ნუროს. ისიც გაქსუებული სპილო (როგვესი) თუ იზამს, რომელიც სპილოთა ნახირიდან გაძევებულია. ეს არი და ეს. ამის მეტი არა-ვითარი დანაშაული ადამიანთან სპილოს არ მიუძღვის.

აბა, ახლა მოუსმინოთ კეთილ-სკინიდისიერ მოგზაურებს, რა უდიერათ ექცევა კაცი სპილოს და რა უღმერთოთ ქლეტენ.

სამუილი ბეკერი აფრიკაში რო მოგზაურობდა, აბისინიდან ნუბიაში დაბრუნების დროს, არაბები ვაუცენია და გაკვირვებულია ამ ხალხის გულადობით.

„მარცხნა მკლავზე— ასე მოკვითხრობს ბეკერი— არაბები იყეთებენ ეირაფის ტყავიდან მომზადებულ ფარს და მარჯვენა ხელში უჭირავთ მოკლე მახვილი სამართებელივით მჭრელი. აი, ამ გვარათ შეიარაღებული არაბი მამაცათ ნადირობს გარეულ ცხოველებზე და სპილოსაც არ ეპუება.“

„ქვიშიან უდაბნოში— განაგრძობს ბეკერი— სამი არაბი იერიშით ცხენებით გამოუდგენ გაქცეულ სპილოს; გადაუდგენ წინ, შეუკრეს გზა, გაჩერდენ და შემოერტყენ გარს. გაანჩხლებული სპილო მივარდა თავის მტრებს, მაგრამ არაბებმა ფარი მიუშვირეს, ჩამოხტენ ცხენიდან და მახვილებით მედგრათ დაეცენ სპილოს. ატყადა საშინელი ბრძოლა, რომლის მსგავსიც უწინდელ რომში არც ერთ ასპარეზზე არ მომხდარა მის დღეში და ვერც ერთი გამოცდილი გლადიატორი, რომელიც უსაშინელეს მხეცებს ებრძოდა, ვერ შეედრებოდა ხერხით და გულადობით ამ უდაბნოს შეიღებს.“

გაძრაზებულ სპილოს კარგათ ესმოდა, რო მტერი განგებ ექებს შემთხვევას უკანა ფეხების ძარღვები გადუჭრას. ამიტომაც ეს ამოდენა ცხოველი ციბრუტივით ტრიალებდა და მისი ლრიალი და ბრდლეინვა მეხიეით გაისმოდა; ხორთუმით ქვიშა ცაში აპქონდა, იქაურობას ჰელეჯდა და მტერი ლრუბელივით იდგა— დიდხანს გაატანა ბრძოლამ, დიდხანს ტრიალებდა ეს უზარ-მაზარი ცხოველი, მტერიც ვერას გახდა. ბოლოს, მაინც ამ სამმა კაცმა ერთხმათ დასცეს საშინელი კიფინა, თავ-განწირულათ მიიტანეს იერიში და სპი-



ლოს შიგ მუცელში ატაკეს თავის ბასრი მახვილები. სისხლის ნაკადულები გადმოსქდა, საწყალი სპილა სისხლისავან დაცლილი სრულებით დასუსტდა და მთისოდენა ცხოველმა ძირს ბრაგანი მოილო“.

ბრემი ამბობს, რომ თავ-განწირულ მონადირეებს ამ კეთილ-შობილ ცხოველებზე ნადირობა ეშვების გულისთვის, კიდევ რაც უნდა იყოს, მიყტევებათ, რაღაც ამ გეარ ბრძოლაში იმათი სიცოცხლეც ძაფზე ჰქიდია. მაგრამ რა სახელი ვუწოდოთ იმ ვაჭბატონებს, ევროპიელთ, რომელიც განვებ მომწყველეულ სპილოთა ნახირში შეუბრალებლათ უმისნებენ თოვს და ხოცენ მხოლოთ იმიტომ, რომ საკვეთურათ გამოადგეთ. ჭეშმარიტათ რო ამისთანა გულ-ქვაობა და მხეცობა მხოლოთ ინგლისელებს შეუძლიათ!

საინტერესოთ მოვყითხრობს ბრემი, როგორ ახერხებენ ინ-
დოელები სპილოს დაჭრას და მის მოშინაურებას. აქ საჭიროა, კა-
ცის ჭუამ და მოხერხებამ სპილოს ჭუას და მოხერხებას აჯობოს.
მერე უნდა ცხოველის გაქსუებული ხასიათი მოარჩეულოს და თა-
ვის სურვილს დაუმონაოს, დაიმორჩილოს.

ამ ქამათ ინდოეთში არსებობს მონადირეთა ამქრავბა, რომელიც ცოცხალ სპილოებს იჭერენ. ეს ხალხი თურმე ისეა დაგეშილი, როგორც კაი მექებარი ძალლი. ისე მიდევენ ალლოთი სპილოს კვალს, როგორც მექებარი კურდღლისას. ერთათ ერთი ამათი იარაღი მძიმე, მაგარი ქამანდია, რომელსაც კამეჩის ანუ ირმის ტყავისაგან წნავენ. შენიშვნენ თუ არა სპილოს ნახირს, აუჩქარებლათ დაედევნებიან და, რა წამს სახერხო დროს შეურჩევენ, ესერიან ქამანდის ამორჩეულ სპილოს ფეხებში, ან უეცრათ შემოახვევენ ხოლმე ქამანდს ფეხებზე. უველას ის უკვირს და დღესაც გამოცანათ ჩჩება, რა ნაირათ მიეპარებიან ხოლმე ისე ახლო და რა ეშმაკობით ახერხებენ ამისთანა გონიერ ცხოველის მოტყუებას. ერთი რო სპილოს ფეხებს ქამანდის უყლფუში ჰბოჭას, მეორე ქამანდის წევრს უშველებელ ხის ძირზე მაგრათ აბამს. თუ იქვე მოხერხებული ხე ეკ იპოვეს, მაშინ განგებ აფხუკიანებენ სპილოს და, რაფი ადგილიდან დასძრავენ, იქითკენ მიიზადავენ, საცა დიდი ხე ეგულებათ ამით საქმე თავდება. გათოკილი სპილო, რაღა თქმა უნდა, მოთმინებიდან გამოდის დალამის იქაურობა დაგლიჯოს, მარა მონადირენი მის დამშვიდებასაც ახერხებენ.

როცა უნდათ სპილოთა მთელი ნახირი დაიჭირონ, მაშინ აი-



რა საშუალებას ხმარობენ: სადმე მდინარეს ახლოს, ინდოეთის გა-
უვალ ტყეებში, სადაც სპილოთა ნახირს ცხოვრება უყვარს, მო-
ნადირენი განგებ სტენე ახოს, ე. ი. ტყეში მოედანს აკეთებენ
და მერე მის გარშემო მქაქრს არტყაშენ დიდობის მარგილ-
ბოძებით. რასაკერველია, ამისთანა გალავანს დიდი მოხერხებით და
სიფრთხილით ამზადებენ, რომ გონიერმა ცხოველმა არაფრის ალლო
არ აიღოს. მთელი ზღუდე და მეტადრე შესავალი კარი ჯაგებშია
დამალული და სხვა-და-სხვა ამხვევ მცენარებით (ლიანებით) დაფა-
რული.

ტენენტი თითონ დაწერებია ამ ვერ ნადირობაზე და როგორც
მისი აღწერიდან ჩანს, ორი სამი ათასი კაცი, ათ ვერსის მანძილზე
უელიან ტყეს და საშინელი სიფრთხილით, ვათომ აქ არაფრი ან-
ბავიაო, განგებ ცდილობენ სპილოთა ნახირმა პირი იქით იბრუნოს,
სადაც გალავანი ელით. ვიდრე მიზანს მიაღწევენ, თურმე მთელი
ორი თვე უნდებიან. გალავანთან მირეკილ სპილოთა ნახირს ადვი-
ლათ შერეკენ ხოლმე ზღუდეში, თუ რომ წინამძღოლი სპილო არ
დაფიხა და ფეხი შედგა.

მოამწყედევენ თუ არა, მაშინათვე ოციოდ გაწურთვნილ შინა-
ურ სპილოს შეურევენ ხოლმე ნახირში. გარეული სპილოები ნელ-
ნელა ეჩვევიან დაშინაურებულ სპილოთა საზოგადოებას. ახლა სა-
ჭიროა თითო-თითო სპილო გაითოვოს და სხვე დაიბას. გულად
მონადირეს ამ საქმეში შინაური სპილო ძლიერ შველის, რომელიც
გულ მოდგინეთ ცდილობს თავის ველურ მოძმების მორჯულებას,
რისთვისაც ურჩ სპილოს დინგებით და ეშვებით დასაჯაც ხო-
ლმე.

ახლათ დაჭრილ სპილოს მორჯულებასაც ადვილათ ახერხე-
ბენ, ჯერ ვიშის ზარს დაცემენ ხოლმე ცეცხლით, გაჩაღებული მაშ-
ხალებით და კიჯინით, მერე უხრიოლებენ და ბოლში აბრუნებენ.
ბოლოს მთელი დღე არც აჭმევენ, არც ასმევენ და არც ასვენებენ.
წამდა-უწამ უჩხიკინებენ, აბრაზებენ და იქამდე აწვალებენ, ვიდრე ეს
ძალოვანი ცხოველი სრულებით მოიქანცება და მისუსტდება.—ამ
გვარათ დამონებულ ცხოველს მერე კი გულ-კეთილათ, ალერსით
ექცევან, ნაზათ უვლიან და ათას ნაირ ეშმაკობით რამდენიმე თვე-
ში სრულებით მოაშინაურებენ ხოლმე.

IV

თუმცა სპილო ბუნებით მეტათ მშეიღი, დინჯი, სულგრძელი და კეთილი ცხოველია და ძლიერ ადვილათაც შეეჩევა ხოლმე კაცს, მაგრამ ვაი იმისი ბრალი, თუ ვინებმ მასხარათ, აბუჩათ აიგდო და აწყეინა რამე, ამას კი არ აპატიებს, „ცხვარი ცხვარიაო, თუ გაცხარდა ცხარიაო“. სპილო გულში ჩაირჩენს ხოლმე წყენას და ახში, როცა შემოხვევა ექნება, უფრეს ლათ სამაგიეროს გადაუხდის.

ინდოეთში ერთი სპილო ვიღაც დერციკის დუქანს ისე არ გაუვლიდა, რომ ფანჯარაში ხორთუმი არ შეეყო, — თითქოს ათვალიარებდა, აცა რას აკეთებს ჩვენი დერციკიო. რამდენმე ხანს დე. რციკი ყურადღებას არ აქცევდა სპილოს ცულლუტობას, მაგრამ ერთხელ როგორდაც ხუმრობის ქეიფზე არ იყო და ნემსი უჩხელიტა სპალოს მერქნობიარე ხორთუმში. გამწვავებულმა სპილომ იმ წამსვე მოაშორა ხორთუმი და გაუდგა თავის გზას, თითქოს არც კი რამ წყენიაო. მაგრამ მეორე დღეს, მიუახლოედა თუ არა დერციკის დუქანს, იქვე ქუჩის გუბედან ხორთუმით შესრუტა აუზებელი ტალახიანი წყალი და ზედ თავზე გადაასხა დერციკს და მთლათ გასვარა წუმპეთი მისი დუქანი.

კაპიტან შეპპეს არ ჯეროდა სპილოთა გულის-ყური და მეხსიერება, მაგრამ ამ ურწმუნოებისთვის დერციკის დღე კი დაადგა.

სპილოს ძლიერ უყვარდა პურზე წასმული კარაქი და საშინლათ სძულდა მწვავე პილპილი. ხსნებულმა კაპიტანმა პურის გულში ბლომათ პილპილი ჩაყარა, გარედან სქლათ წაუსვა კარაქი და ასე შეაჭამა სპილოს, ამ ოინს შემდეგ, მოელი ექვსი კვირა ცნობის მოყვარე კაპიტანი სპილოს აღარ ეჩვენა. დადგა ღრო გამოცდისა და კაპიტანი მხიარულათ მიუახლოედა სპილოს. უზარ-მაზარმა ცხოველმა ჩეუულებრიეთ დაუწყო კაპიტანს ალერსი. მაშინ კი გადასწყვიტა კაპიტანმა, რო სპილოს აჩაფრის დახსომება არ შეძლებია და ტყუილა გამოუგონიათ მოცლილ მწერლებსაო. მაგრამ წამსევ შეცვალა თავის აზრი, რადგან სპილომ უშეველებელი ნაკადული წუმპისა ხორთუმით ზედ თავზე გადაასხა და ფეხებამდე ჩურჩხელასაებ ამოსევარა.

შემდეგი შემოხვევა აშკარათ გვიხატავს სპილოს თავ-მოყვარობას, ჭკუას და სამართლიანობას:



პარიფის ბოტანიკურ ბაღში ერთი მხატვარი ცოცხალ ცხოველებიდან პირდაპირ იღებდა მათ სურათს და ფერადი წამლებით ცილიოზე ხატაედა. როცა ჯერი სპილოზე მიდგა, მხატვარს უნდოდა სპილო ხორთუმ აწეული დაეხატა. ამისთვის პატარა ბიჭი დაარიყა, ვაშლი თითობით და მაღლ-მაღლ აჭამე ხოლმე სპილოსაო. თუმცა ბლობათ მოეტანა ვაშლი, მაგრამ მხატვარმა დაატყო, რო კალათა უკვე დაუნახევრდა და საქმის გათავება კი ჯერ შორს იყო, ბიჭს უთხრა: ზოგჯერაც ისე ტყუილა გაუქნიე ხელი ვითომ ვაშლს აწევდი პირშით. სპილო მართლაც რამდენჯერმე მოტყუედა და აწეული ხორთუმი ტყუილა მოუცდა, აშკარაა სპილოს წყინდა ამ გვარათ მისი აბუჩათ აგდება, მაგრამ აუშფოთველათ ითმენდა ამ შეურაცყოფას შხოლოთ იშ დრომდე, ეიდრე კალათაში ვაშლი ეგულებოდა. როცა ბიჭმა ცალიერი კალათი წამოაპირექვავა, სპილომ სიამოენებით ჩახსრამულა უკანასკნელი ვაშლიც და მერე ვითომ წყალი მოწყურდათ დაგუბებულ არხისკენ გასწია, მხატვარიც ის იყო ათავებდა თავის ნახატს, ამ დროს წამოვიდა სპილოს ხორთუმიდან უშველებელი ნაკადული და მხატვარი და მისი ნახატიც მთლათ წუმპეში ამოსვარა.

აქ გასაოცარი უფრო ის არი, რომ სპილომ პატარა ბიჭს ხელიც არ ახლო. საკეთებულათ მიხედა, ნამდევილი დამნაშავე ვიწც იყო, და დასაჯა ის, ვის ბრძანებასაც ბიჭი ასრულებდა.

ამ გვარი მაგადიოთები, სადაც სპილოს უკვევლი ჰქუა გამოიხატება, იმდენია რო მთელი წიგნები დაიწერება, მაგრამ ყოველთვის ასე მშევიდობიანათ და სახუმარო—გასართობათ კი არ ჩაიგლის ხოლმე სპილოს აბუჩათ აგდება.

ამას წინეთ საფრანგეთში ერთ ჰქუის კოლოფს აზრათ მოუვიდა სპილოს ზე-ჩევულების გამოცდა, მიუახლოვდა სპილოს, რომელსაც სახალხოთ აჩვენებდენ, მასხარობა დაუწყო და ვითომ აძლევდა რასმე საჭმელათ, ხელით ისე ატყუებდა. სპილო ხუმრობის გუნებაზე არ იყო, ჯერ ერთი ისეთი გადაჭრა ხორთუმი ზურგზე, რომ ორი წიბო (გვერდი) ჩამტვრია; მერე ფეხით შედგა და კაცს ფეხი მოსტება. ბოლოს სპილომ დაიხოქა და ეშვებზე უნდოდა აეგო, მაგრამ მხოლოთ თეძო დაუშავა.

აი კიდევ ერთი უბედური შემთხვევა.

სპილოს მატარებელი კაცი ზედ კისერზე აზის ხოლმე. ერთ-ხელ ამ ვაჟბატონმა, როდესაც სპილოს ქუჩა-ქუჩა ატარებდა, თა-

ეისდა საუბედუროთ მოინდომა ხალხის გართობა-გაცინება. იყიდა იქვე ქოქოსის ვეებართელა კაკალი და ზედ სპილოს თავზე გატეხა და პირი ჩაიგემრიელა. სპილოს ხმაც არ ამოუღია. მეორე დღეს კი, როცა სპილო იმავ ქუჩაში გაატარეს, სპილო გადაწვდა ხორთუმით, აიღო გუშინდელ დუქნიდანვე ერთი ქოქოსის კაკალი და ისეთი ძალით გაარტყა შუბლში იმ თავის მატარებელ კაცს, რომ კაკალიც დაიმსხერა და კაცმაც იქვე თქვენი ჭირი წაიღო.

რო სპილოს მასხარათ აფეხა მაგრე ადვილი არ არის, ამას შემდევი მაგალითიც გვიმტკიცებს.

ინგლისის ერთ ქალაქში სხვა ცხოველთა შორის სპილოსაც აჩვენებდენ. ვიღაც ვაჭართაგანმა მასხარობა დაიწყო და თავის ჭიუა-მახეილობით ვითომ ხალხი უნდა გაეკვირებია. ამ ვაჭარატონმა შაქრის პურები უთავაზა სპილოს, რომელიც შექმადა თუ არა მადლობის ნიშანათ სხვა-და-სხვა ფოკუსებს ადგენდა. მერე აკი გაუწყრა მასხარას ღმერთი! ამიოდო ჯიბიდან საესე ხელსახლი, პილპალით ჭარბათ შენელებული შაქრის პურები, ორ ვირვანქაზე მეტი და მიაწოდა სპილოს. ჭიუიანმა ცხოველმა სრული ნდობით მიიღო და მთლათ ჩაიდო პირში, მაგრამ ორიოდე შაქრის პური ჩაყლაპა თუ არა, საშინელი ლრიალი შექნა პილპილის სიმწვევისაგან. სპილო მაშინათვე ვედრას მიერდა და პატრონს მიაწოდა, თითქოს ეხვეწებოდა ჩეარა წყალი მომაწოდეთ ყელი მეწვისო, წყალი მაშინათვე მიაშველეს და სპილომ ერთი ერთმანეთზე რამდენიმე ვედრა გამოცალა.

ის ჭიუის-კოლოფი არამც თუ მოშორდა, პირიქით დაცუნა დაუწყო სპილოს—როგორ მოგეწონათ შაქრის პურები, გემრიელი იყო განაო?

სპილოს პატრონმა გულმოსულმა უპასუხა:

„ბატონო ჩემო, გირჩევთ გაეცალოთ, თორემ გაბრაზებული სპილო ამ ვედრას თავში გთხლეშვეთო“.

სპილო მეექვე ვედრა წყალს სეაზდა და ისეთი საშინელი სახე ჰქონდა, რო ლეთისწყალობა გაქცსთ მასხარამ იყადრა და თავს უშეველა. მაგრამ რამდენიმე ბიჯის გადადგმა ვერც კი მოასწრა, რომ სპილომ წამოავლო ვედრას ხორთუმი და ისეთი საშინელი ძალით გატყორუნა იმ მასხარა კაცისკენ, რომ ცოტა დარჩა ადგილობრივ სული არ გააყრევინა.


ამით საქმე მაინც არ დაბოლოვებულა. ერთ წლის შემდეგ

სპილო იმავ ქალაქში მიიყვანეს. სად იყო და სად არა აკი ის ჭიურს
 კოლოფიც გაჩნდა! საკეირელი ისაა, რომ ამ კაცს ჭიურა ვერ ესწა-
 ვლა და ის ხიფათა აღარ ახსოება, სიკვდილს რო თავი ძლიერ
 ვადაარჩინა. კიდევ მოეტანა ჯიბით ტკბილი და მწარე შაქრის პუ-
 რები. ჯერ ტკბილები შეაჭამა, სპილოც საშინელის სიფრთხილით
 ართმევდა. ბო ის მწარეები შეატყუა თუ არა, გამწარებულმა სპი-
 ლომ სტაცა კალთაში ხორთუმი და ეს თავის მტანჯველი კაცი
 უცბათ ჰაერში აიტანა. სერთუკს კალთები მიაწყდა და იმ სიმაღლი-
 დან კაცი თავდაყირა ძირს წამოვიდა. მიწაზე გაშხლართული კაცი,
 შიშისაგან გულ-განეთქილი, ძლიერ მოასულიერეს. გონის რო მო-
 ვიდა, გზას გაუდგა, ხალხში კი საშინელი სიცილი ატყდა, რადგან
 მისი „მოდნი“ სერთუკი ჟილეტკათ გადაქცეულიყო.

სპილომ რაღა ქნა? იმას ხორთუმში შეზია თარივე კალთა,
 რომელის ჯიბიდანაც თითო თითოთ ამოალაგა ტკბილი შაქრის პუ-
 რები და არხეინათ შეექცეოდა. გაათავა თუ არა, ვიდრე ის კაცი
 გონის მოეიდოდა, სპილომ მწარე პურებიანი ჯიბე სულ ნაკუწ-ნა-
 კუწათ დაგლიჯა, მერე მთლათ დაბლუჯა ხორთუმით და იმ უტევი
 ნოს შიგ თავში მიახალა.

დავით

(დასასრული იქნება)



გულადი ელენე

(ფრანგულისან გადმოდებული)



ერძნები ომობდენ; უნდო-
დათ ოსმალები განედევნათ,
რომლებსაც ამათი ქვეყანა ხელ-
ში ეჭირათ. დიდი მოძრაობა და
ბრძოლა იყო სამშობლოს გასათავა-
სუფლებლათ. ბერძნებს მოაგონდათ
ძველი დროის თავისუფლება და მედგრათ
ცდილობდენ ოსმალების თავიდან მოშა-
რებას.

ყმაწვილებიც კი ღელავდენ, ძეელი
დროის გმირათ მიაჩნდათ თავი. მოგროვდებოდენ ჯვუფ ჯგუფათ
და ვითომ ციხის ასალებათ მოდიანო ქუჩა-ქუჩა დადიოდენ.

ელენე, რეა-ცხრა წლის პატარა ქალი ძალიან თავდადებული
იყო თავის ქვეყნისთვის; მართალია ძეელი ამბები აფრე რიგათ არ
იცოდა, მაგრამ იმას კი ხედავდა, რომ ბერძნები ებრძეიან ოსმა-
ლებს და უნდათ იმათი მოშორება და თითონაც უნდოდა თავისი
ქვეყნის გათავისუფლება.

გულენი ელენი

ელენის კარგათაც არ ესმოდა თავისუფლება რა არი, მაგრამ ამ სიტყვის გავონებაზე აღელედებოდა. ხოლმე. თავისი სამშობლო ძალიან უყვარდა, მაგრამ რატომ უყვარდა — იმას კი ვერ გეტყოდათ.

იმ მაღლობიდან, სადაც ელენი იდგა, ჩანდა ცეცხლი როგორ ეკიდებოდა მინდერებს, ყანებს და სოფლელების სახლ-კარს. ამ სანახაობამ უფრო ააღელვა ელენე ოსმალების წინააღმდეგ. ამან მოპრიფა თავისი ტოლ-ამხანაგები ქალები და ვაჟები და ისე მხურვალეთ და ცხარეთ უქადაგებდა მტრის წინააღმდეგ, რომ მათ შორის ღიღი თანაგრძნობა მოიპოვა. ესენი ელენის როგორც თამაშიბაში მოთავეთ აყენებდენ ახლაც მოინომეს იმისი უფრასობა. ელენე აყიდა ერთ ქვაზე და იქიდან შესაფერი სიტყვა უთხრა;

— მეგობრებო! მოვიყაროთ ფრინველებივით თავი, შევერთდეთ რომ მტერს ჩვენი შეეშინდეს. განა ჩვენისთანა ყმაწეილები შეუშინდებიან ამეს? მოვიგონოთ ჩვენი მაშაპაბები, ამბობენ გმირები ყოფილან და ჩვენც იმათებურათ მოვიქცეთ. — აღტაცებით ამბობდა ელენე და თან ჰაერში ატრიალებდა ძველ გაფანგებულ ხმალს.

ელენე თავის უცნაურ ჯარს მხიარულათ ჩაუდგა მოთავეთ. ზოგს ფიწალი ეჭირა, ზოგს ცეხვი და ასე ყველანი სხვა-და-სხვა იარაღით შეიარალებულნი იყვენ.

ორი საათის განმავლობაში, ცხარე მზეზე ყმაწეილები აღტაცებულნი მიღიოდენ. ბოლოს დაღალვამ და შიმშილმა გაუჭირათ საქმე. ბეგრს პირში ლუკმა არ ჩაედო ისე საჩარიოთ წამოსული-ყვენ, რომ არ დაჰგეიინებოდათ და ახლა ნანობდენ თავიანთ საქციელს; ზოგი ურჩობასაც აპირებდა.

მაგრამ ელენის აღტაცება არ აკლდებოდა. მზათ იყო მთელი დედამიწა მოევლო, ოღონდ მტერს შეხვედროდა და ამხანაგებს ამხნევებდა:

— მეგობრებო, ნუ გვონიათ რომ ჩვენმა ჯაფამ და ცდამ უბრალოთ ჩაიაროს. ბოლო კარგი ექნება, მხოლოთ მოთმინება იქონიეთ, ისმალები შორს არ უნდა იყვენ!

ელენე ამ სიტყვებს უცაბედათ ამბობდა, მაგრამ თითქოს ღმერთმა შეიბრალა და გაუგონა თხოვნა. მოისმა ცხენების თქარა-თქური და გზის შესახევეში გამოჩნდენ ცხენოსნები, რომელნიც ტანისა-მოსით და იარაღით ეტყობოდათ ოსმალები უნდა ყოფილიყვენ.

ელენემ საომრათ დააყენა თავისი ჯარი; თითონ უშიშრათ წინწადგა.

იაკობ ფაშაშ რომ დაინახა ეს უცნაური ჯარი თავისი ცხენი შეაყენა და თან სიცილს ძლიერ იმაგრებდა. მისი ცხენოსნებიც შედგენ.

— არ გაგატარებთ! შეჰყვირა ელენემ და ცდილობდა ბოხი ხმით ელაპარაკნა.

— როგორ თუ არ გამატარებთ! დაინახა ოსმალების უფროსში.

— აკი ეთქვი, რომ არ გაგატარებთ?

— ხომ არა გნებავს შენ და შენ უცნაურ ჯარს, რომ გზა შემიკრათ.

— დიახ, გეინდა გზა შეგიკრათ. ჩექნ ყველას გეინდა გზა შეგიკრათ, განა? თქვა ელენემ და მოუბრუნდა თავის ჯარს.

— შეგიკრამთ, შეგიკრამთ გზას! წამოიძახეს ერთი ხმით ყმა-წვილებმა გატაცებულებმა ელენეს გმირობით.

— მართლა? ჰყითხა იაკობ ფაშაშ, ეს ამბავი ძალიან არ თობდა იმას.— თქვენ გვონიათ, რომ ეს თეთრი წეერი მოითმენს და თქვენისთანა ლაწირაკებს დაგითმობთ?

— როგორ თუ ლაწირაკებს, დაიყვირა გაშმაგებულმა ელენემ. ხედავთ მეგობრებო, ლაწირაკებს გვეძახის. ნუ შევაჩინოთ, სამაგიყ-რო გაღუპადოთ!

და ელენემ მაშინვე საომრათ იძრო თავისი გაფანგებული ხმალი.

— კიდევაც გიმეორებთ, რომ ჩემ ნება დაურთველათ არ გა-გატარებთ!

ელენე გრძნობდა, რომ თავისას გაიტანდა, თუმცა ღონით არ შეეღრძებოდა იმათ.

იაკობ ფაშა ერთ წამს ჩაჩუმდა, ფიქრებმა გაიტაცეს, ერთი თვალით გადახედა ამ ყმა-წვილების ჯარს, რომლის უფროსი ქალი იყო, ათი წლისა არც კი იქნებოდა და ასე გაბედვით და ცხა-რეთ ელაპარაკებოდა. ფაშას თითქოს წინ ედგა ბერძნის ძველი გმი-რები. ნუ თუ ესენიც ძველებურათ გაიმარჯვებენ და გაჰყრიან ოს-მალებს და თაორებს საბერძნეთიდან? პატივის ღირსი იყვნ ეს ყმა-წვილები, რადგან უყვარდათ ასე თავიანთი სამშობლო. თითონ სასტუკი ფაშაც ხომ მამა იყო და გრძნობდა მამობრივ სიყვარულს, მის სასახლეშიაც ხომ იზრდებოდენ ყმა-წვალები, რომელნიც სასიქა-ღულო იყო, ამისთანები გამოსულიყვნ და მოლბა მეომრის გული.

გულადი ქლენე

— რა ნაირათ უნდა მოვიქცე, რომ გაგეატაროთ? თქვა ბოლოს დღი ხნის სიჩრდის შემდეგ იაკობ ფაშამ.

— მომე შენი იარალი, უთხრა ყმაწელმა ისე, როგორც ქველ დროს ფერმაპილის გმირს ლეონიდს უთხრეს.



— მოდი და წაილე! უპასუხა იაკობ ფაშამ უნებლიერ სწორეთ იმ სიტყვებით, რა სიტყვებითაც ლეონიდმა უპასუხა მტრებს.

ელენემ მეორეთ აზარ გამეორებინა და თავ-მოწონებით მიუ-
ახლოედა იაკობ ფაშას, იმანაც ამორლო თავისი ძეირფასი ხმალი
ქარქაშიდან და პატივის ცემით გადაცა ყმაწვილს.

— შენი გაბედულება ღირსია ჯილდოსი. მიჩუქებია შენთვის ეს
ვაჟყაცის საკადრისი საჩუქარი. ეს ხმალი ყმაწვილების სათამაშო არ
არის. თუ ვაჟყაცები შენისთანა ვუ ღიდები იქნებიან, არც კი დაგჭი-
რდება მისი ხელში აღება სამშობლოს გასათავისუფლებლათ.


და ალერსით გადახედა ყმაწვილს, მერე მიუბრუნდა თავის მე-
ომრებს და უთხრა:

— ახლა შეგვაძლიან გაეიაროთ.

ა. წ.—ს.

ჯეჯილის მკითხველების საყურადღებოთ

ვინც ჩვენი პატარა მკითხველთაგანი (15 წლამდე)
გამოვიდგავნის პირველ გიორგობისთვემდინ საუკეთესოთ
დაწერილს თამარ-დედოფლის ცხოვრების შემოქლებულ აღ-
წერას, ან მისი ცხოვრებიდან ხალხში გაგონილ რომე-
ლიმე ამბავს, რომელიც ჯერ არსად არ უოფილი დაბეჭ-
დილი და გამოდგება ჯეჯილში დასაბეჭდათ მიღებს სა-
ჩუქრისთ ფერადი წამლებით ნახატს თამარ-დედოფლის სუ-
რათს.





ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(ქართლში გაგონილი)

პაპის ნაჭამშა ტყემალმა, შეიღილშეიღილს მოჭრა კბილიო.

არ მინდა შენი ეშვიო, ნურც არას შემომყენესიო.

შინ რომ არავინა გყავდეს დედა-ბოძს დაეკითხეო.

ცხარე ძმარი საძმრეს გახეთქსო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(ჩაწერილი ლ. ჩ—საგან)

ორი ვაშკაცი იბრძვიან წითელი ბინიშოსანი,
არა აქეთ თოფი, არც შუბი, არც ხმალი ქარქაშოსანი;
წელიწადში ერთხელ მოვა ღრო მათის თამაშოსანი
ერთი-მეორეს, რომ დასძლევს, იქვე ჰყავს გამცარცუოსანი.

(ჩაწერილი ალექსანდრე საათაშერლისაგან)

ოდენო, ოდნის ოდენო, თავი გაქვს გოდრის ოდენა;
ფეხები ჩიფა ძალლს გიგავს, ენა გაქვს მერცხლის ოდენა.

შეხე კურდლლის ბაჭიასა,
მალლა ავა, ძირს ჩამოვა,
კვალი არსად აჩიასა.

შეუკრელი ტომარა დაუფქელი ფქვილით არის გატენილი.



შ ა ი რ ი

მე ხონელი ეარ, არას გარგივარ;
შეესვამ, შევჭამ, — ჩემ გზას ვადგივარ.

ჰ ა ლ ს უ რ ი

შენ ბიჭო, ანაკრეულო, ხმა შენი ჩამოდიოდა
შენი ნამგლისა ქრიალი წყალ გაღმა გამოდიოდა.

სამშობლოს მარგე ის არის, ვინც დედავნა იცისო;
ვინც არა, კაცი არ არის, არც რა მწამს მისი ფიცისო.

ვაჭკაცისა ნაქებია გულმდაბლობა სიმარტეო
ყველას კარგსა მიბაძედეს და თან ახლდეს სიმართლეო.

ისტორიული აკროსტისი

(წარმოდგენილი მ. ლელა შვილისაგან)

თამარის შემდეგ წყეულ ბოროტი
ეწვია ჩვენსა საქართველოსა,
მუდამ ღებავდა დაულალეათ
უბედურ ქართველთ სისხლით მდელოსა;
რა საცოდავათ, რა გულსაკლევათ
ლამაზ ქვეყანას ანადგურებდა...
ესალმებოდენ იმ დროს დედა შეილს.
ნებით მამა შეილს ვერ უყურებდა.
განა ფიქრობდა, რომ ჯოჯოხეთში
ის დწყვევლილი ისადგურებდა?

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი უ. მღვიმელისაგან)

პირელს ხმარობენ ქალები
როცა რამ გაუკვირდებათ,
ან თუ ჩაგარდენ საფრთხეში
და საქმე გაუჭირდებათ.

მეორე შემოდგომობით
ყურძნის დაკრეფის ფამია;
ბევრს თქვენგანს ვიცი იგი დრო
მრავალჯერ მოუჭამია.

სრული კი ჩემო პატარა
მკითხველო, მთელი ერთია,
ვინც ათას წლობით იომა
და მტერი მოიგერია.

მხოლოდ კი, ახლა სალაშქროთ
მას აღარ დაუმოქრია,
თოფი ჩაუსვამს ხალთაში,
ხმალიც არ გაუფერია.

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი მ. თოიძესაგან)



(რა ვერდება,
ჟელ ვერს?) ედნი.




(მორიცი
ანუ?)



ქა (ქარის
და) ქ' ცვ



ქ' ქ' ქ' ქ' ქ' ქ' ქ' ქ' ქ' ქ'



ქა მის ქ' წელი. ის ქ' ხათი ქ'



ქ'



№ III გამოცანების ახსნა:

1) ბზობა, 2) ფუტყარი, 3) ფული, 4) კვერცხი, 5) ცეცხლი
და ქვები.

ზმნა — გამოცანა: თამარ მეფე.

ეპიტეზის: შარშანდელი მამაჩემი წრეულ ჩემი შეილი იყო,
წრევანდელი ჩემი შეილი დედაჩემის ქმარი იყო.

ზმნა: მამია გურული. ილია. რაფიელ ერისთავი.

აკროსტიხი: ბარბარე ჯორჯაძისა.

სიტყვის გამოცანა:

შ	ო	თ			
ა					
რ	უ	ს			
თ	ა	მ	ე	ლ	
ი	ვ	ე			
ვ					
ხ	ვ	ი	ს	ე	ბ
ყ	ა	ო	ს	ა	ნ
					ი

- 1 ტარიელი.
- 2 ელისო.
- 3 ფოთი.
- 4 თვალი.
- 5 სექსური.
- 6 ყანა.
- 7 თოვლი.
- 8 სვანეთი.
- 9 სეტყვა.
- 10 შოთი.
- 11 სურა.

შარადა — თბილისი

რე ბუსი სამშობლოო, ვინ გაბედა, ვინ გისურვა აღმოფხვერობა,
შოგესპოს პატივის მგმობი და მოძულეთ აერ თხრობა.

ძნელი სუნთქვა დაიშლე, მოიმატე ლომ-გმირობა.

შენი შეილნი გვასხელე, ორგულს მაეც სულის ქრობა.

რე ბუსი ახსნეს: ელისო და ნინო ბარბაქაძეებმა და დათი-
კო შავარდნაძემ. შარადა. ახსნა დათიკო შავარდნაძემ.

№ III შეცდომის გასწორება სიტყვების გამოცა-
ნაში: სიტყვა მეშვიდე (7) 23 მაგიერ უნდა იყოს 3. სიტყვა მე-
რვე (8) უკანასკნელ 14 მაგიერ უნდა იყოს 13.

ფულებროვნებრივი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა